

Natürlich Deutsch

გერმანული ენა

ს2 დონე

მასწავლებლის წიგნი

დ. ჯალაღონია
თ. ჯაშიაშვილი

გამომცემლობა „ოცდამეერთე“

გრიფირებულია ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ.

Natürlich Deutsch

საბაზო და საშუალო საფეხური, დონე 2

ლ.ჯაღალღია, თ. ჯაშიაშვილი

რედაქტორი მარგრეტ ვეგმანი

მასწავლებლის წიგნი

მადლობა

გამომცემლობა “ოცდამეერთე” და წიგნის ავტორები დიდ მადლობას უხდით წიგნის რედაქტორს ქ-ნ მარგრეტ ვეგმანს აუდიოკასეტის მომზადებაში შეტანილი წვლილისთვის.

დიდ მადლობას უხდით გერმანელ მოქალაქეებს: რაინერ კაუფმანს, კარუ ვილიამსს, ტიმო ფოგტს, აუდიოკასეტის ჩანაწერის გაკეთებისთვის.

სახელმძღვანელოს შემადგენელი ნაწილები:

1. მოსწავლის წიგნი
2. სამუშაო რვეული
3. ტესტები
4. აუდიოკასეტა
5. მასწავლებლის წიგნი

საავტორო უფლება © 2009 გამომცემლობა “ოცდამეერთე”

ყველა უფლება დაცულია
პირველი გამოცემა 2009

ISBN 978-9941-9093-7-5

გამომცემლობა “ოცდამეერთე”

ტელ. (8 32)103-205; მობ. 877 742146

ელ. ფოსტა tatbukia@yahoo.co.uk

ვებ. გვერდი: www.bukia21st.ge

სარჩევი

შესავალი.....	4
ხ2 დონის სახელმძღვანელოს ეროვნული სასწავლო გეგმა.....	5
სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.....	17
სასწავლო მასალის წარდგენის ფაზების ახსნა-განმარტება.....	20
გაკვეთილის დაგეგმვა.....	22
რამდენიმე გაკვეთილის სანიმუშო სცენარი.....	23
დეტალური კომენტარები მოსწავლის წიგნის თითოეულ სტრუქტურულ ელემენტთან და მის შემადგენელ ნაწილებთან დაკავშირებით.....	29
შეფასების ფორმები, რეკომენდაციები შეფასებისთვის, ტესტების ნიმუშები.....	32
სავარჯიშოების პასუხები.....	36
საკონტროლო ტესტების პასუხები.....	53
დანართი: მოსასმენი ტექსტები მოსწავლის წიგნისთვის.....	56
მოსასმენი ტექსტები ტესტებისთვის.....	60
გაკვეთილის წარმართვის ლექსიკონი.....	60

I. შესავალი

გერმანული ენის ს2 დონის სახელმძღვანელო შექმნილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამუშავებული ეროვნული სასწავლო გეგმისა და უცხოური ენის სტანდარტის საფუძველზე და გადამუშავებულია 2009-2010 სასწავლო წლისთვის დაგეგმილი უცხოური ენების საბაზო და საშუალო საფეხურის სასწავლო გეგმის განახლებული ვარიანტის შესაბამისად.

სახელმძღვანელოს შემადგენელი ნაწილებია:

- მოსწავლის წიგნი
- სამუშაო რვეული
- ტესტები
- აუდიოკასეტა
- მასწავლებლის წიგნი

• მოსწავლის წიგნის აღწერილობა:

ა) 9 თემა სხვადასხვა ტიპის საკითხავი და მოსასმენი ტექსტებით, სხვადასხვა აქტივობები, გრამატიკული ჩართვები და დასამახსოვრებელი ჩარჩოები.

თითოეული თემა – 9-10 საკლასო საათისთვის. მთლიანად სახელმძღვანელო გათვლილია დაახლოებით 90 აკადემიურ საათზე.

ბ) ძირითად ნაწილს მოსდევს დანართი, სადაც წარმოდგენილია გრამატიკული ცნობარი, არაწესიერი ზმნების ცხრილი, და გერმანულ-ქართული ლექსიკონი.

• სამუშაო რვეულში მოცემულია როგორც საკომუნიკაციო, ისე ენობრივი დავალებების სავარჯიშოები, რაც მოსწავლის წიგნის განვრცობას წარმოადგენს. იგი გათვალისწინებულია დამოუკიდებელი საშინაო მუშაობისთვის.

• ტესტების რვეულში მოცემულია 6 ტესტი, რომლებიც გამიზნულია მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ჩასატარებლად (ერთ ტრიმესტრში - 2 ტესტი).

• აუდიოკასეტაზე ჩაწერილია მოსმენის დავალებების კლასში მოსასმენი მასალა.

• მასწავლებლის წიგნში მოცემულია:

ა) ს2 დონის სახელმძღვანელოს უცხოური ენის სტანდარტი, წლის ბოლოს მისაღწევი შედეგებითა და მათი ინდიკატორებით.

ბ) შინაარსისა და მიზნების რუკა.

გ) სასწავლო მასალის წარდგენის ფაზების ახსნა-განმარტება.

დ) გაკვეთილის დაგეგმვა.

ე) რამდენიმე გაკვეთილის სანიმუშო სცენარი.

ვ) დეტალური კომენტარები მოსწავლის წიგნის თითოეულ სტრუქტურულ ელემენტთან და მის შემადგენელ ნაწილებთან დაკავშირებით.

ზ) შეფასების ფორმები, ტესტების ნიმუშები.

თ) თითქმის ყველა სავარჯიშოს პასუხი და მათი შესაძლო ვარიანტები.

ი) საკონტროლო ტესტების პასუხები.

კ) დანართი:

მოსასმენი ტექსტები მოსწავლის წიგნისთვის

მოსასმენი ტექსტები ტესტებისთვის
გაკვეთილის წარმართვის ლექსიკონი

სახელმძღვანელოს შექმნისას ვეყრდნობოდით შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- 1. საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების დაუფლება.** მოსწავლეები ითვისებენ საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებს ისე, რომ მათი ყურადღება მიმართულია არა ენობრივ ფორმაზე, არამედ იმ ინფორმაციაზე, რომლის მატარებელიც ეს ფორმაა.
- 2. მოსწავლის მოტივაცია.** სასწავლო მასალა - სასწავლო თემები, ტექსტების ტიპები, დავალებები არჩეულია ისე, რომ იწვევდეს მოცემული ასაკის მოსწავლეთა ინტერესს. დავალების შესრულების დროს მიღწეული წარმატება აგრეთვე მოტივაციის წყაროს წარმოადგენს. ამიტომ, გაკვეთილებში გათვალისწინებულია დავალებების სიძნელეების გრადაცია იმისთვის, რომ მოცემული სიძნელის დონის დაძლევა როგორც ძლიერი, ასევე სუსტი მომზადების დონის მოსწავლეებისთვის ინტერესს წარმოადგენდეს, და თანაც იყოს მათი შესაძლებლობების ფარგლებში.
- 3. დავალებების შემეცნებითი ხასიათი.** სწავლა უფრო ეფექტურია, თუ იგი წარმოადგენს ინტელექტუალური მოქმედების ანალიზისა და დედუქციის გამოყენების შედეგს.
- 4. მოსწავლის პიროვნების ჩამოყალიბება.** სახელმძღვანელო ითვალისწინებს აგრეთვე მოსწავლის პიროვნების ჩამოყალიბებას. აუცილებელ თვისებებად მიგვაჩნია: ურთიერთპატივისცემა და ტოლერანტობა, დამოუკიდებლობა, შრომისმოყვარეობა, თავდაჯერებულობა, თანამშრომლობა, ცნობისმოყვარეობა, კვლევის წარმოების უნარი. ამ თვისებების ჩამოყალიბების მიღწევის საფუძველს წარმოადგენს სავარჯიშოების შემეცნებითი ხასიათი, დამოუკიდებელი დასკვნის/აზრის გამოთქმის დავალებები, წყვილებში/მცირე ჯგუფებში მუშაობა და სხვა.

II. ს2 დონის სახელმძღვანელოს ეროვნული სასწავლო გეგმა

დღეს, უცხოური ენის სწავლება საქართველოს სკოლებში წარმართება ეროვნულ სასწავლო გეგმაში არსებული უცხოური ენის სტანდარტის მიხედვით. სტანდარტში მოცემულია სწავლის ის შედეგები, რომელთაც უნდა მიაღწიოს ყველა მოსწავლემ სასწავლო წლის ბოლოს. აქვეა ინდიკატორები (მაჩვენებლები), რომლებიც გვიჩვენებს, მიაღწიეს თუ არა მოსწავლეებმა ამ შედეგს. “*Natürlich Deutsch*“ ამ სტანდარტის მიხედვით არის დამუშავებული. მაგრამ, მხოლოდ სახელმძღვანელო არ ატარებს გაკვეთილს, გაკვეთილს ატარებთ თქვენ და მოსწავლეები, სახელმძღვანელო კი არის დამხმარე საშუალება, რომელსაც თქვენ და მოსწავლეები გააცოცხლებთ და მიაღწევთ სტანდარტის მოთხოვნებს. გირჩევთ, კლასში ამ სტანდარტის მიხედვით დაგეგმოთ გაკვეთილი.

უცხოური ენების სტანდარტი
საბაზო და საშუალო საფეხურებისათვის

ს2 დონე

მიმართულება: მოსმენა

(მოსმენის უნარის გასავითარებლად გამოიყენება დიდაქტიზებული და ნახევრად ავთენტური* აუდიოჩანაწერები, სადაც ტექსტები მკაფიოდ და ნელა ისმის)*

უცხ.ს.II.1. მოსწავლე ისმენს და იგებს მასწავლებლის მითითებებსა და სავარჯიშოს ინსტრუქციებს.

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- სათანადოდ რეაგირებს მასწავლებლის მითითებებზე;
- ასრულებს სავარჯიშოებს.

უცხ.ს.II.2. მოსწავლე ისმენს და იგებს ნაცნობ თემატიკაზე აგებულ ტექსტს (დიალოგს/მონოლოგს).

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- ამოიცნობს საკომუნიკაციო სიტუაციას (თანამოსაუბრეები, სასაუბრო თემა);
- ამოკრეფს ფაქტობრივ ინფორმაციას (ვინ, სად, როდის, რამდენი, რომელი, როგორი და სხვა);
- ამოიცნობს დადებით და უარყოფით შეფასებებს.

უცხ.ს.II.3. მოსწავლე ისმენს და იგებს საინფორმაციო აუდიოჩანაწერებს.

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

ა. ამინდის პროგნოზი.

- ამოიცნობს გეოგრაფიულ ადგილებს;
- ამოიცნობს ატმოსფერულ მოვლენებს და ტემპერატურას.

ბ. სპორტის ახალი ამბები.

- ამოიცნობს სახეობებს;
- ამოიცნობს გამარჯვებულ და დამარცხებულ გუნდებს/მოთამაშეებს;
- ამოიცნობს ანგარიშს.

უცხ.ს.II 4. მოსწავლე ისმენს და იგებს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გაკეთებულ განცხადებებს.

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- ამოიცნობს, სად არის გაკეთებული განცხადება (სუპერმარკეტში, სადგურში და სხვა);
- ამოიცნობს განცხადების მიზანს;
- ამოკრეფს ფაქტობრივ ინფორმაციას (გამგზავრების დრო, ბაქანი, ფასი, სექცია და სხვა).

უცხ.ს.II.5. მოსწავლე ისმენს და იგებს მარშრუტს.

- შესაბამისი მითითებების მიხედვით იკვლევს გზას (გაუხვიე მარჯვნივ, იარე პირდაპირ და სხვა);
- პოულობს დანიშნულების ადგილს.

უცხ.ს.II.6. მოსწავლე შინაარსის გაგების გაადვილების მიზნით იყენებს სათანადო სტრატეგიებს.

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- სათაურის, ილუსტრაციების საფუძველზე გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შინაარსის შესახებ;
- ცოცხალი მეტყველების/ჩანაწერის მოსმენისას იშველიებს არავერბალურ ელემენტებს (ხმის ტემბრი, ინტონაცია, მიმიკა, უესტიკულაცია, სხვადასხვა ტიპის ხმაური, ლოგიკური მახვილი და სხვა);
- ამოიცნობს უცნობი სიტყვების, გამოთქმების, წინადადებების მნიშვნელობას ნაცნობ ელემენტებზე დაყრდნობით (კონტექსტი, ინტონაცია, სიტყვის ფუძე და სხვა);
- მიზნის შესაბამისად ცვლის მოსმენის სტრატეგიას: ზოგადი შინაარსის გასაგებად ეყრდნობა ნაცნობ სიტყვებს, არავერბალურ ელემენტებს და ამოიცნობს საკომუნიკაციო სიტუაციას, კონტექსტს, სასაუბრო თემას; კონკრეტული ინფორმაციის ამოსაცნობად შეარჩევს კონკრეტულ საყრდენებს, მათზე ყურადღების გამახვილებით ამოკრებს საჭირო ინფორმაციას.

მიმართულება: კითხვა

(კითხვის უნარის გასავითარებლად გამოიყენება ნახევრად ავთენტური ან ავთენტური* ტექსტები).*

უცხ.ს.II.7. მოსწავლე იძენს ხმამაღალი კითხვის უნარს.

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- გარკვევით და გამართულად კითხულობს ნაცნობ ტექსტს;
- თანაკლასელებთან ერთად ხმამაღლა და გამომსახველობით კითხულობს ნაცნობ დიალოგს/სკეჩს, იცავს შესაბამის ინტონაციას სხვადასხვა მოდალობის წინადადების წარმოთქმის დროს.

უცხ.ს.II.8. მოსწავლე კითხულობს და იგებს საჯარო წარწერებს (გამაფრთხილებელი წარწერა, ინფორმაცია ყიდვა-დაქირავეების შესახებ, მემორიალური დაფა, სხვადასხვა ტიპის აბრა და სხვა)

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- ამოიცნობს მითითებულ ინფორმაციას.

უცხ.ს.II.9. მოსწავლე კითხულობს და იგებს სავარჯიშოს პირობას.

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- ამოიცნობს და ასრულებს მითითებებს.

უცხ.ს.II.10. მოსწავლე კითხულობს და იგებს მარტივ კორესპონდენციას (სხვადასხვა ხასიათის ღია ბარათი, პირადი წერილი).

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- ამოიცნობს საკომუნიკაციო სიტუაციას (ავტორი, ადრესატი, კორესპონდენციის მიზანი);
- ამოიცნობს გაგზავნის თარიღსა და ავტორის/ადრესატის მისამართს ;

- ამოიცნობს კორესპონდენციის მიზანს (მილოცვა, მოწვევა, რაიმეს შეთავაზება და სხვა);
- ამოიცნობს ფაქტობრივ ინფორმაციას (ვინ, სად, როდის, რა, რამდენი, როგორ, რატომ და სხვა);
- ამოიცნობს ემოციებს, დამოკიდებულებებს.

უცხ.ს.11. მოსწავლე პრესაში ეცნობა ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ ინფორმაციული ხასიათის ტექსტებს (მაგალითად, საქმიანი განცხადება, ინტერვიუ, ტელეპროგრამა, დაიჯესტი) და იგებს ექსპლიციტურად მოცემულ ინფორმაციას.

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

ა. კითხულობს და იგებს საქმიან განცხადებებს

- ამოიცნობს განცხადების მიზანს (მაგ., საზაფხულო შემოთავაზებები);
- ამოკრებს კონკრეტულ ინფორმაციას.

ბ. კითხულობს და იგებს ინტერვიუს, რეპორტაჟს:

- ამოიცნობს კორესპონდენტს, რესპონდენტს
- ამოიცნობს თემას/საკითხებს
- ამოიცნობს ფაქტობრივ ინფორმაციას;
- ამოიცნობს რესპონდენტის დადებით და უარყოფით დამოკიდებულებებს.

გ. კითხულობს და იგებს ტელეპროგრამას.

- ამოიცნობს პროგრამის ფორმატს (კვირის განრიგი, გადაცემის სათაურები, არხების ლოგოები);
- ამოიცნობს გადაცემის ტიპს;
- ამოიცნობს ანოტაციის ზოგად შინაარსს;
- ამოიცნობს კონკრეტულ ინფორმაციას (მონაწილე, შემსრულებელი, დღე, დრო და სხვა).

დ. კითხულობს და იგებს დაიჯესტს:

- ამოიცნობს თითოეული ამბის ზოგად შინაარსს;
- სათაურს აკავშირებს შინაარსთან.

უცხ.ს.12. მოსწავლე კითხულობს და იგებს სარეკლამო ხასიათის ტექსტს (ტურისტული ბუკლეტი, აფიშა, ანონსი).

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- ამოიცნობს საკომუნიკაციო სიტუაციას (ავტორი, ტექსტის მიზანი, ადრესატი)
- ამოიცნობს სათაურს, ქვესათაურებს, რუბრიკებს, ილუსტრაციების წარწერებს ;
- ამოიცნობს ფაქტობრივ ინფორმაციას (თარიღი, ფასი, ადგილი, პირობები, მონაწილე და სხვა);
- ამოიცნობს შეფასებებს, რჩევებს.

ცხ.ს.13. მოსწავლე კითხულობს და იგებს შემეცნებით ტექსტს სხვადასხვა თემაზე (კულტურისა და საბუნებისმეტყველო სფეროებიდან).

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- ამოიცნობს მთავარ თემას/საკითხებს;

- ამოიცნობს ფაქტობრივ ინფორმაციას.

უცხ.ს.14. მოსწავლე კითხულობს და იგებს თხრობით ტექსტს (ცხოვრებისეული ისტორია, მოგონება, დღიური).

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- ამოიცნობს პერსონაჟებს;
- ამოიცნობს პერსონაჟთა განწყობილებებს, გრძნობებს, თვისებებს;
- ამოიცნობს მოქმედებებს, მათ თანამიმდევრულობას;
- ამოიცნობს მოქმედებათა დროსა და ადგილს.

უცხ.ს.15. მოსწავლე ამოიცნობს ტექსტის სტრუქტურულ მახასიათებლებს და ნასწავლ ენობრივ ფორმებს.

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- ამოიცნობს ტექსტის სტრუქტურული ორგანიზების თავისებურებებს (მაგალითად, აქვს თუ არა სათაური/ქვესათაური, რუბრიკები, მითითებულია თუ არა ავტორი ან ადრესატი, ტექსტი სვეტებად არის ორგანიზებული თუ აბზაცებად და სხვა);
- ამოიცნობს საკომუნიკაციო სიტუაციის/მიზნის შესატყვის გამოთქმებს, კლიშეებს, ენობრივ კონსტრუქციებს (მაგალითად, მიმართვის/დამშვიდობების ფორმულა კორესპონდენციაში, რჩევის გამომხატველი ფორმულა სარეკლამო ბროშურაში);
- ამოიცნობს შეფასება-დამოკიდებულების გამომხატველ ენობრივ ფორმულებს;
- ამოიცნობს გეზისა და ორიენტაციის გამომხატველ ენობრივ საშუალებებს (არსებითი სახელი, ზმნიზედა, წინდებული, ზმნისწინი);
- ამოიცნობს აწმყო, წარსული და მომავალი დროის გამომხატველ მარტივ ენობრივ საშუალებებს (ზმნის ნასწავლი ფორმა, ზმნიზედა);
- ამოიცნობს შედარების (მსგავსების გამომხატველ მარტივ ენობრივ საშუალებებს.

კითხვის სტრატეგიები

უცხ.ს.16. მოსწავლე განსაზღვრავს კითხვის მიზანს და შესაბამისად იყენებს კითხვის სხვადასხვა ტექნიკას (გაცნობითი, შესწავლითი, ძიებითი).

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე

ა. მიმართვას გაცნობითი კითხვის ტექნიკას ზოგადი შინაარსის გასაგებად:

- მთლიანობაში აკვირდება ტექსტს, მის სტრუქტურას, მათ ორგანიზებულ ელემენტებს, განსაზღვრავს, ტექსტის ესა თუ ის ნაწილი რა შინაარსის ინფორმაციას შეიცავს, გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შინაარსის შესახებ სხვადასხვა ელემენტზე დაყრდნობით (სათაური, ქვესათაური,

ილუსტრაცია, საკვანძო სიტყვა, აბზაცების დასაწყისი, ერთ-ერთი აბზაცი, გამოყოფილი სიტყვები და სხვა);

- გადაიკითხავს ტექსტს, ყურადღებას არ ამახვილებს უცხო სიტყვებზე; ყურდნობა ნაცნობ სიტყვებს ზოგადი შინაარსის ამოსაცნობად.

ბ. მიმართავს შესწავლითი კითხვის ტექნიკას ტექსტის დამუშავების მიზნით:

- ჯერ ზოგადად ეცნობა ტექსტს (იხ. გაცნობითი კითხვა);
- შემდეგ გამოწვლილვით კითხულობს ტექსტს, ცდილობს უცნობი სიტყვების, გამოთქმების მნიშვნელობის ამოცნობას ნაცნობ ელემენტებზე (კონტექსტი, ქართულში დამკვიდრებული უცხოური სიტყვები, სიტყვის ნაცნობი ფუძე, აფიქსები და სხვა) დაყრდნობით;
- უცნობ სიტყვებს, გამოთქმებს ეძებს მისთვის მისაწვდომ რესურსებში (სახელმძღვანელო, ლექსიკონი, კომპიუტერული პირი);
- საჭიროების შემთხვევაში ხელმეორედ კითხულობს ტექსტს ან მის ცალკეულ ნაწილებს.

გ. მიმართავს ძიებითი კითხვის ტექნიკას ტექსტში კონკრეტული ინფორმაციის მოსაძიებლად:

- თვალს გადაავლებს ტექსტის სტრუქტურას, სიტყვიერ და არასიტყვიერ მორგანიზებულ ელემენტებს და მათზე დაყრდნობით პოულობს და ამოკრეფს მისთვის საჭირო ინფორმაციას.

მიმართულება: წერა

უცხ.ს.17. მოსწავლე ნიმუშის მიხედვით წერს სხვადასხვა შინაარსის ღია ბარათს.

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- იცავს კორესპონდენციის ფორმალურ მხარეს (მიმართვის ფორმა, დამშვიდობების ფორმულა, ხელმოწერა, მისამართი, თარიღი);
- კორესპონდენციის მიზანს უსადაგებს შინაარსს (მიწვევა, რაიმეს შეთავაზება, მიწვევაზე/შეთავაზებაზე დათანხმება/უარის თქმა, მოკითხვა, ამბების შეტყობინება);
- აღწერს ყოველდღიურ ამბებს;
- სვამს კითხვებს კონკრეტული ინფორმაციის დასაზუსტებლად.

უცხ.ს.18. მოსწავლე სწერს წერილს თანატოლს, ახლობელს (ხელნაწერ ან ელექტრონულ ვერსიას).

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- ადრესატის ვინაობის გათვალისწინებით შეარჩევს მიმართვისა და დამშვიდობების სათანადო ფორმულებს;
- აგებს თხრობას, თანამიმდევრულად გადმოსცემს მოვლენებს, ფაქტებს;
- გამოხატავს გრძნობებს, განწყობილებებს, სურვილებს.

უცხ.ს.19. მოსწავლე ქმნის სარეკლამო ხასიათის ინფორმაციულ ტექსტს (ბუკლეტი, აფიშა).

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- განსაზღვრავს საკომუნიკაციო სიტუაციას (ავტორი, რეკლამის მიზანი, ტექსტის ფორმატი, ადრესატი);
- იგონებს სათაურს;
- წერს ილუსტრაციის კომენტარებს;
- ლაკონურად აღგენს ძირითად ტექსტს (ანოტაციას);
- მიუთითებს ფაქტობრივ ინფორმაციას (თარიღი, ფასი, ადგილი, პირობები და სხვა)
- ფაქტობრივ ინფორმაციას დაურთავს შეფასებებს.

უცხ.ს.11.20. მოსწავლე ნიმუშის მიხედვით წერს ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ ინფორმაციული ხასიათის ტექსტებს (მაგალითად, საქმიანი განცხადება, ინტერვიუ, ტელეპროგრამა).

- მოცემულ ყალიბს ავსებს განსხვავებული შინაარსით (ნიმუშის გამოყენებით წერს სასურველ ტელეპროგრამას).
- **უცხ.ს.11.21. მოსწავლე იცავს წერილობითი ტექსტის სტრუქტურას, ფლობს და ფუნქციურად იყენებს ელემენტარულ ენობრივ-გრამატიკულ ფორმებს.**

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- იცავს ტექსტის ამა თუ იმ სახეობის სტრუქტურულ მახასიათებლებს;
- იცავს სინტაქსურ მიმართებებს მარტივ ენობრივ კონსტრუქციებში;
- იყენებს ზმნიზედებს და ზმნის სათანადო ფორმებს აწმყო, წარსული და მომავალი დროის გამოსახატად;
- ამბების გადმოცემისას იყენებს ადგილმდებარეობის გამომხატველ ენობრივ საშუალებებს (მაგ., ზმნიზედები, წინდებულები);
- სათანადოდ იყენებს ნასწავლ ლექსიკურ ერთეულებს;
- აღწერის დროს შედარებისას იყენებს მსგავსების გამომხატველ მარტივ ენობრივ საშუალებებს;
- იცავს სიტყვათა რიგს მტკიცების, უარყოფის და კითხვის შინაარსის შემცველ მარტივ და თანწყობილ წინადადებებში;
- შეარჩევს საკომუნიკაციო სიტუაციის/მიზნის შესატყვის გამოთქმებს, კლიშეებს, ენობრივ კონსტრუქციებს;
- ემოციის დამოკიდებულების (მაგ., სიხარული, აღფრთოვანება, მოწონება, მადლიერება) გამოსახატად იყენებს სათანადო ლექსიკურ ერთეულებს, ენობრივ ფორმულებს;
- მართებულად იყენებს თავაზიან და ფამილარულ ფორმებს;
- იცავს ორთოგრაფიის წესებს, სწორედ იყენებს სასვენ ნიშნებს.

წერის სტრატეგიები

უცხ.ს.11.22. მოსწავლე მიმართავს წერის სათანადო სტრატეგიებს.

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- მოიძიებს და თავს უყრის აუცილებელ სასწავლო რესურსებს (ლექსიკონი, ნიმუში, გრამატიკული ცნობარი და სხვა);
- ადგენს შესასრულებელი სამუშაოს გეგმას, საკომუნიკაციო მიზნიდან გამომდინარე შეარჩევს სათანადო ენობრივ მასალას (ლექსიკური ერთეულები, კლიშეები, გრამატიკული ფორმები და სხვა);
- წერს შავ ვარიანტს;
- გადაიკითხავს შავ ვარიანტს, სასწავლო რესურსზე დაყრდნობით ამოწმებს ნაწერს და ასწორებს ენობრივ შეცდომებს;
- ათეთრებს ნაწერს.

მიმართულება: ლაპარაკი

უცხ.ს.11.23. მოსწავლე ეუფლება უცხოური ენის ფონოლოგიურ სისტემას.
შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- გასაგებად მეტყველებს, დიალოგების გათამაშებისას, ზეპირად კითხვისას იცავს უცხოური ენისათვის დამახასიათებელ ინტონაციას, უღერადობას, აქვს სათანადო გამოთქმა.

დიალოგიური მეტყველება

უცხ.ს.11.24. მოსწავლე მონაწილეობს ინტერაქციაში.

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- სვამს და პასუხობს კითხვებს ნაცნობ თემატიკაზე (ჩაცმულობა, საყვარელი გმირი, ჰობი, თავისუფალი დრო, სკოლა, მეგობრები და სხვა);
- მონაწილეობს სიმულაციურ სიტუაციებში (მაღაზიაში, ექიმთან, დაპატიჟება, შეხვედრის დანიშვნა და სხვა);
- თავს ართმევს სატელეფონო საუბარს;
- სათანადოდ რეაგირებს თანამოსაუბრის რეპლიკებზე;
- იყენებს კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამის კლიშეებს, ენობრივ ფორმულებს;
- პასუხობს ნასწავლი ტექსტის გარშემო დასმულ მარტივ კითხვებზე;
- გამოხატავს ემოციებს, შეხედულებებს, განწყობილებას;
- აფასებს მოვლენებს, ფაქტებს, ადამიანებს;
- უცხოურ ენაზე გადმოსცემს სათქმელს სასწავლო პროცესში წარმოქმნილ პრობლემებთან დაკავშირებით.

უცხ.ს.11.25. მოსწავლე თავს ართმევს სატელეფონო საუბარს.

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- იყენებს სათანადო კლიშეებს;
- რეაგირებს თანამოსაუბრის რეპლიკებზე.

მონოლოგური მეტყველება

უცხ.ს.11.26. მოსწავლე გაბმულად ლაპარაკობს.

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- საუბრობს მისთვის ნაცნობ თემატიკაზე (ოჯახი, საცხოვრებელი ადგილი, სკოლა, საყვარელი საგნები, ყოველდღიური საქმიანობა, ჰობი და სხვა);
- მარტივი გეგმის მიხედვით ან სურათებზე დაყრდნობით ჰყვება მარტივ ამბავს.
- მარტივი ფრაზებით აღწერს საკუთარ გარემოს;
- აღწერს სურათს;
- აღწერს და ახასიათებს ადამიანებს (სიმაღლე, წონა, თმის ფერი, თვალის ფერი, ჩაცმულობა, ხასიათი, ემოციები, ინტერესები).

უცხ.ს.11.27. მოსწავლე მეტყველებისას ფუნქციურად იყენებს ნასწავლ ენობრივ-გრამატიკულ ფორმებს.

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- ინტერაქციისას შეარჩევს საკომუნიკაციო სიტუაციის/მიზნის შესატყვის მიმართვის ფორმებს, გამოთქმებს, კლიშეებს, ენობრივ კონსტრუქციებს;
- მართებულად იყენებს მეტყველების თავაზიან და ფამილარულ ფორმებს;
- სათანადოდ იყენებს ზმნიზედებს და ზმნის ნასწავლ ფორმებს აწმყო, წარსული და მომავალი დროის გამოსახატად;
- იყენებს ადგილმდებარეობის გამომხატველ ენობრივ საშუალებებს;
- იცავს სინტაქსურ მიმართებებს მარტივ ენობრივ სტრუქტურებში;
- იცავს შესაბამის ინტონაციას სხვადასხვა მოდალობის წინადადებების წარმოთქმის დროს;
- სათანადოდ იყენებს ნასწავლ ლექსიკას.

ზეპირმეტყველების სტრატეგიები

უცხ.ს.11.28. მოსწავლე იყენებს ზეპირმეტყველების სათანადო სტრატეგიებს.

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- კომუნიკაციის წარმართვისთვის იყენებს აუცილებელ რესურსებს (მოდულები, საკვანძო სიტყვები, ფრაზები, გამოთქმები, კლიშეები);
- იყენებს საკომპენსაციო საშუალებებს (მაგ.: მიმიკა, უესტიკულაცია, ანტონიმის/სინონიმის მითითება, პერიფრაზირება /ნაგულისხმევი საგნის აღწერა ან მისი დანიშნულების მითითება/ და სხვა);
- წინასწარ ვარჯიშობს, გადის რეპეტიციას მეწყვილესთან, ჯგუფის წევრებთან ერთად;
- ხვდება და ასწორებს საკუთარ/სხვის შეცდომებს;
- გაუგებრობის შემთხვევაში ითხოვს გამეორებას, განმარტებას, ნელა და გარკვევით წარმოთქმას.

მიმართულება: კულტურათა დიალოგი

უცხ.ს.11.29. მოსწავლე ამოიცნობს ინფორმაციას კულტურის სფეროდან.

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- ამოიცნობს სახელმწიფო სიმბოლოებს (დროშა, ღერბი, ჰიმნი);
- აკვირდება და ამოიცნობს ილუსტრაციებზე/ტექსტებში/სასწავლო მასალებში ასახულ სახელმწიფო სიმბოლოებს, კულტურულ ან საყოფაცხოვრებო რეალიებს.

უცხ.ს.1.30. მოსწავლე იჩენს ინტერესს და ავლენს ტოლერანტულ დამოკიდებულებას უცხოენოვანი ქვეყნის კულტურული და სოციოკულტურული თავისებურებების მიმართ.

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- ამოიცნობს საზოგადოებაში ქცევის ეტიკეტს, წესებს და იცავს მათ სიმულაციური სიტუაციების გათამაშებისას;
- მშობლიურ ენაზე სვამს კითხვებს/ითხოვს განმარტებას კონკრეტული სოციო-კულტურული საკითხების გარშემო;
- კორექტულად გამოთქვამს საკუთარ აზრს, შეხედულებას, დამოკიდებულებას კულტურულ თავისებურებებზე მსჯელობისას.

მიმართულება: უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება

უცხ.ს.11.31. მოსწავლე უცხოურ ენაზე განახორციელებს სხვადასხვა ტიპის პროექტს (მაგ., გამოფენა; სადღესასწაულო სუფრა; ტურისტული ბროშურის შექმნა უცხოელებისთვის და მერიის ვებგვერდზე დადება; დამეგობრება მსოფლიოს რომელიმე კუთხის ისეთ კლასთან, რომელიც იმავე ენას სწავლობს და სხვა).

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- მასწავლებელთან ერთად აყალიბებენ პროექტის წარმატებით განხორციელების კრიტერიუმებს;
- გუნდის წევრები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ და გეგმავენ განსახორციელებელ ეტაპებს, შემდეგ გუნდები ერთმანეთს უზიარებენ შედეგნილ გეგმას, ადარებენ, აუმჯობესებენ;
- მასწავლებელთან ერთად ადგენენ შესრულების ვადებს;
- ახდენენ ცოდნისა და უნარების მობილიზებას, განსაზღვრავენ თუ რა ცოდნა და უნარები უნდა შეიძინონ დასმული ამოცანების გადასაჭრელად;
- გუნდის წევრები განსაზღვრავენ და ინაწილებენ ფუნქციებს;
- გუნდის წევრები მოიძიებენ, შეარჩევენ და დაამუშავებენ ინფორმაციას;
- შეარჩევენ პროექტის წარდგენის ფორმას;
- განახორციელებენ პროექტს;
- გადიან რეპეტიციას, აკეთებენ პრეზენტაციის სიმულირებას სხვა გუნდის წინაშე, კომენტარების, შენიშვნების გათვალისწინებით აუმჯობესებენ პროექტს, შეაქვთ შესწორებები;
- შეიმუშავებენ პროექტის საბოლოო ვერსიას და წარადგენენ მას აუდიტორიის წინაშე.

მიმართულება: სწავლის სწავლა

უცხ.ს.ი.32. მოსწავლე მასწავლებლის დახმარებით განჭვრეტს შესასრულებელი დავალების მოთხოვნებს.

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- მონაწილეობს დავალების წარმატებით შესრულების კრიტერიუმების ჩამოყალიბებაში;
- გამოკვეთს დავალების განხორციელების ეტაპებს;
- განსაზღვრავს იმ ცოდნასა და უნარებს, რომელსაც ფლობს და გამოიყენებს დავალების შესასრულებლად;
- განსაზღვრავს, თუ რა ცოდნა და უნარები უნდა შეიძინოს ახალი დავალების განხორციელებლად;
- განსაზღვრავს რა გაუადვილდება, რა გაუჭირდება, რაში დასჭირდება დახმარება, კონსულტაცია;
- განსაზღვრავს საჭირო სტრატეგიებს დავალების თითოეული ეტაპისათვის.

უცხ.ს.ი.33. მოსწავლე იძენს სტრატეგიულ უნარებს წარმატებული სწავლების უზრუნველსაყოფად.

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- სამუშაოს დაწყებამდე ახდენს ცოდნის მობილიზებას;
- მონაწილეობს ახრთა გაცვლაში იმის შესახებ, თუ როგორ მიდგომებს გამოიყენებენ ამა თუ იმ ეტაპზე კონკრეტული ამოცანის გადასაჭრელად;
- საჭიროების შემთხვევაში ითხოვს დახმარებას, კონსულტაციას;
- სამუშაოს დასრულების შემდეგ წარმოადგენს გამოყენებულ სტრატეგიებს, ადარებს სხვების მიერ გამოყენებულ სტრატეგიებს;
- მონაწილეობს გამოყენებული სტრატეგიების ეფექტურობის შეფასებაში;
- თანხმდება განსხვავებული სტრატეგიების მოსინჯვა-გამოყენებაზე;
- ადარებს სხვადასხვა ენის, მათ შორის მშობლიურის შესწავლისას მიღებულ გამოცდილებას ერთმანეთთან, განსაზღვრავს თუ რამდენად გამოადგება ესა თუ ის სტრატეგია სხვა ენის ან სხვა საგნის სწავლების პროცესში;
- აანალიზებს შეცდომების, ხარვეზების მიზეზებს;
- მონაწილეობს თვითშეფასებასა და თანაშეფასებაში (მოსწავლე-მასწავლებელი ან მოსწავლე-მოსწავლე ერთსა და იმავე ნაშრომს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ასწორებენ);
- შედეგებზე დაკვირვებით აღნიშნავს, სად აქვს წინსვლა;
- აანალიზებს, წარმატების თუ წარუმატებლობის მიზეზებს მათი შემდგომში გათვალისწინების მიზნით;
- ასახელებს წარუმატებლობის ფაქტორებს, მიზეზებს (მაგ. სათანადოდ არ გამოიყენა რესურსი, ვერ გამოკვეთა აქტივობის მთავარი ამოცანა, გამოტოვა ერთი ეტაპი, ამოცანა დაუძლეველი მოეჩვენა, იყო უგუნებოდ და სხვა);
- ამჩნევს და ასახელებს საკუთარ ხარვეზებს;
- ადგენს, თუ რა ზომებს უნდა მიმართოს ხარვეზების აღმოსაფხვრელად;

- საკუთარი ინიციატივით მიმართავს გამოსასწორებელ ზომებს.

უცხ.ს.ი.34. მოსწავლე იყენებს რესურსებს სასწავლო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით.

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- ეფექტურად იყენებს სახელმძღვანელოს რესურსებს (ლექსიკონი, სტრუქტურული ნიმუშები, გრამატიკული ცნობარი, ილუსტრაციები და სხვა);
- მოიძიებს ინფორმაციას როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარეთ მისაწვდომ რესურსებში (სახელმძღვანელოს თვალსაჩინოებები, ლექსიკონი, სკოლის/სოფლის/ქალაქის ბიბლიოთეკა, მასწავლებელი, კომპეტენტური პირი, ინტერნეტი და სხვა);
- მოიძიებს ინფორმაციას/სასწავლო მასალას ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) მეშვეობით;
- იყენებს ისტ-ს ამა თუ იმ მასალის/ტექსტის შესაქმნელად/დასამუშავებლად;
- იყენებს ისტ-ს პროექტების განსახორციელებლად.

უცხ.ს.ი.35. მოსწავლე მიმართავს სხვადასხვა ხერხს ლექსიკური მარაგის განსამტკიცებლად და გასამდიდრებლად.

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- სისტემატურად იმეორებს გავლილ ლექსიკურ მასალას;
- ამოკრეფს ცუდად ათვისებულ ლექსიკურ ერთეულებს;
- იყენებს დამახსოვრების სხვადასხვა ხერხს (რამდენჯერმე გადაწერა, ხმამაღლა გამეორება, ერთი ფუძის სიტყვების, ანტონიმური/სინონიმური წყვილების დაჯგუფება, ასოცირება, კონტექსტში გამოყენება, თემატიკის მიხედვით დაჯგუფება და სხვა).

უცხ.ს.ი.36. მოსწავლე იყენებს სტრატეგიებს გრამატიკის ათვისების ხელშეწყობის მიზნით (გასაადვილებლად).

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- კონკრეტულ მაგალითებზე დაკვირვებით ამოიცნობს გრამატიკულ სტრუქტურებს/წესებს;
- იყენებს ამოცნობილ სტრუქტურებს/წესებს განსხვავებულ კონტექსტებში;
- ადარებს ერთმანეთს უცხოური და მშობლიური ენების გრამატიკულ სტრუქტურებს/კანონზომიერებებს;
- იყენებს და თავადაც ქმნის სქემებს, ტაბულებს, სტრუქტურულ მოდელებს.

უცხ.ს.ი.37. მოსწავლე თანამშრომლობს თანაკლასელებთან, მასწავლებელთან, მეწვეილესთან შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- ამხნეებს მეწვეილეს, თანაგუნდელებს;
- ითხოვს/სთავაზობს დახმარებას;

- მოქმედებს გუნდის წევრებთან შეთანხმებულად; მსჯელობს თანაგუნდელებთან (პრობლემის გადასაჭრელად, ფუნქციების გასანაწილებლად);
- ისმენს სხვების მოსაზრებებს, გამოთქვამს საკუთარს;
- უთანხმოებისას ცდილობს შეთანხმების მიღწევას;
- ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს საერთო საქმეში;
- საჭიროებისამებრ მონაწილეობს მეწყვილეს/გუნდის წევრების თანაშეფასებაში;
- აკრიტიკებს იდეებს და არა იდეების ავტორებს, შეფასებისას იჩენს კორექტულობას;
- კორექტულად მიუთითებს სხვების მიერ დაშვებულ შეცდომებზე;
- მონაწილეობს თანაშეფასებაში შედეგების გაუმჯობესების ხელშესაწყობად.

. III. სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ამ სახელმძღვანელოთი სარგებლობაში თქვენ დაგეხმარებათ შინაარსისა და მიზნების რუკა, სადაც მოცემულია თემების ჩამონათვალი, მათი კავშირი მიზნებთან და მითითება, თუ სწავლის რა შედეგებსა და ინდიკატორებზე გაჰყავს თითოეულ თემას მოსწავლე.

თემა	ენობრივი კონსტრუქცია	ლექსიკა	გრამატიკა	შედეგები
I Bekanntschaft 10-12 სთ.	Hallo! Wie heißt du? Woher kommst du? Ich heiße/mein Name ist ... Wie geht's? Ja/nein Wie spät ist es/wie viel Uhr ist es? Wie lange dauert ...? Um ... Uhr Am Montag, am ... Das ist mein/e Freund/in.	Wochentage Schulfächer Zahlen Uhrzeiten Freizeit	1. W-Fragen 2. Das unpersönliche Pronomen <i>es</i> 3. Kardinalzahlen 4. Nomen	უცხ.ს. II.2,6. უცხ.ს. II.8,9,11ბ,გ,12,16გ. უცხ.ს. II.20,22. უცხ.ს. II.23,24,26,27,28.
II Eltern und Kinder 8-10 სთ.	Die Hausaufgaben machen Das Bett aufräumen Das Geschirr spülen Ins Kino gehen Das ist mir egal. Es tut mir Leid. Tschüs! Bis dann!	Beschäftigung Abschiedsformen	1. Nomen und Artikel 2. Konjugation des Verbs im Präsens 3. Das Verb, Imperativ	უცხ.ს. II.2. უცხ.ს. II.9,10,15,16ა. უცხ.ს. II.18,19,21. უცხ.ს. II.24,26,27,28.

	Herzliche Grüße!			
III Höflichkeit 9-10 ლთ.	Entschuldigung! Verzeihung! Danke! Danke schön! Bitte! Bitte schön! Wie kann ich Ihnen helfen? Das ist nett von dir/Ihnen! Wo liegt das? Wohin/in welche Richtung fährt der Bus?	Verkehr Fahrt Auskunft	1. Unregelmäßige Verben 2. Trennbare Verben 3. Verneinung: <i>nicht, kein</i>	უცბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.2,4,5,6. უცბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.9,10,14,15,16,8. უცბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.18,21,22. უცბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.23,24,25,27.
IV Berlin 10 ლთ.	O.K., na dann ... Jmnd./etws. verspätet sich. Bist du müde? Was möchtest/nimmst/du? Ich bestelle ... Guten Appetit! Lecker! Das Wetter ist angenehm. Er/sie findet .../mag gerne ...	Reise Speisen und Getränke Ländernamen Sprachen	1. Modalverben 2. Unregelmäßige Verben 3. Ländernamen	უცბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.2,6. უცბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.12,13,14,15,16. უცბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.17,21,22. უცბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.23,24,26,27,28.
V Tbilissi 10 ლთ.	Feiert/sagt man ... Das finde ich interessant. Das interessiert mich. Ich interessiere mich dafür. Wollen wir ...? Nudeln kochen Gurken schneiden In einen Topf geben, kochen, braten ...	Stadtfest Lebensmittel Kino/Theater	1. Unbestimmtes/ indefinites Pronomen <i>man</i> 2. Das Adjektiv 3. Das Verb, Präteritum	უცბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.2,3,6. უცბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.10,12,13,15,16,8. უცბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.20,21,22. უცბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.23,27,28.
VI Feste 10 ლთ.	Es wird ... gefeiert. Frohe Weihnachten! Einen guten Rutsch/Alles Gute für das neue Jahr! Was fehlt Ihnen? Wie fühlen Sie sich? Was tut Ihnen weh? Mir tut das Ohr, der Zahn ... weh. Ich habe Fieber, Kopfschmerzen, Zahnschmerzen.	Feste Glückwünsche Gesundheit Krankheit Orientierung	1. Das Verb, Passiv 2. 3. Präpositionen	უცბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.2,3,8. უცბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.10,11,13,15,16,8. უცბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.17,21,22. უცბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.23,24,27,28.
VII Kinder haben Rechte 10 ლთ.	Ich bin 16/16 Jahre alt. Ich besuche ein Lyzeum ... Ich gehe oft/selten spazieren/in die Disko. Ich meine/denke ... Meiner Meinung nach ...	Angaben Einkauf Menge	1. Possessiv- pronomen 2. Pluralformen 3. Das Verb, Perfekt	უცბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.2,6. უცბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.11,13,14,15,16, უცბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.20,21,22. უცბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.23,

	Mir scheint, dass ... Ich bin dafür/dagegen, dass ... Was/wie viel kostet? Noch einen Wunsch? Bitte, ein Kilo ... Welche Größe? Sie passt mir/passt mir nicht.			24,27,28.
VIII Freundschaft 9-10 სთ.	Meine Hobbys sind Lesen, Briefe schreiben ... Dick/dünn sein Er/sie sieht gut/schlecht aus. Er/sie hat schöne Augen. Ein Problem haben Das Problem/die Aufgabe lösen Beim Problem helfen Ich brauche deine Hilfe.	Hobbys Aussehen Beschreibung	1. Nebensätze 2. Das Adjektiv 3. Rektion der Verben	უცხ.ს.ი.2,6. უცხ.ს.ი.11ბ, 14,15,16ბ,გ. უცხ.ს.ი.18, 21,22. უცხ.ს.ი.23, 26,27,28.
IX Tagebücher 10 სთ.	Seine/ihre Adresse/Anschrift ist ... Er/sie ist am ... in ... geboren. Seine/ihre Staatsangehörigkeit ist georgisch/deutsch ... Er/sie ist verheiratet/geschieden/ ledig... Ich wäre/ich würde/ich hätte... Mir ist schlecht. Mir wurde schwindelig.	Charakteristik Zustand	1. Das Adjektiv 2. Das Verb, Konjunktiv 3. Die Konjunk- tionen und Sätze	უცხ.ს.ი.2,6. უცხ.ს.ი.11დ, 14,16. უცხ.ს.ი.19, 22. უცხ.ს.ი.23.

შენიშვნა: მიმართულებები – კულტურათა დიალოგი, უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება და სწავლის სწავლა ყველა თავშია წარმოდგენილი. ასევე, მიმართულება მოსმენა, უცხ.ს.ი.1., მიმართულება კითხვა, უცხ.ს.ი.7,9. თითქმის ყველა თავშია მოცემული.

IV. სასწავლო მასალის წარდგენის ფაზების ახსნა-განმარტება

გაკვეთილის ფაზები:

1. მოტივაცია – მომზადება
2. საკითხის დასმა, ამოცანის განსაზღვრა
3. ძირითადი სასწავლო მასალა (მაგ. ტექსტი, ილუსტრაცია)
4. საწყის ეტაპზე შესასრულებელი სავარჯიშოები
5. დამაგვირგვინებელ ეტაპზე შესასრულებელი სავარჯიშოები
6. დამოუკიდებელი სამუშაო

სასწავლო მასალის წარდგენის ზემოხსენებული ფაზების შესატყვისი სავარჯიშოები მოცემულია მოსწავლის წიგნში თითოეული რუბრიკის (კითხვა, მოსმენა, გრამატიკა, წერა, ლაპარაკი) ქვეშ.

მოვიყვანოთ საწყის ეტაპზე შესასრულებელი სავარჯიშოების მაგალითს:

კითხვას ვიწყებთ გადათვალთვალებითი კითხვით, როდესაც მოსწავლეები შეხედავენ ილუსტრაციებს (თუ არის), წაიკითხავენ სათაურს, თითოეული აბზაცის პირველ წინადადებას, მთელი ტექსტის ბოლო წინადადებას, და გამოთქვამენ აზრს, თუ რის შესახებ არის ეს ტექსტი. იგივე – **მოსმენის** დროს: მოსმენის წინ მოსწავლეები შეხედავენ ილუსტრაციებს (თუ არის), წაიკითხავენ მოსასმენი ტექსტის სათაურს, გამოთქვამენ აზრს, თუ რის შესახებ არის ეს ტექსტი, რომლის შემდეგაც მოისმენენ ტექსტს და გააკეთებენ შემდეგი ეტაპის სავარჯიშოებს: შეავსებენ ცხრილებს ტექსტიდან ინფორმაციით, აარხევენ სწორ პასუხს და ა.შ.

1. მოტივაცია - მომზადება

უნდა ეცადოთ, მოსწავლეს გაუღვიძოთ სასწავლო მასალის ინტერესი. მოსწავლე არის აქტიური პარტნიორი სასწავლო პროცესში, რომელსაც სწავლისადმი ნოვატორული მიდგომისკენ უნდა ვუბიძგოთ. გაკვეთილი უნდა იყოს აგებული პარტნიორული და ჯგუფური მუშაობის მეთოდებზე და არა ტრადიციული გაკვეთილის ფორმაზე. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ შეძლოს პარალელურად გაეგება თავის საკუთარ ცხოვრებისეულ თუ ეროვნულ - კულტურულ გამოცდილებასთან. ამასთან, მას უნდა მიეწოდოს იმდენი ახალი ინფორმაცია შესასწავლი თემის შესახებ, რომ მასში გაიღვიძოს ცნობისმოყვარეობამ. მასალას მოსწავლის ხედვით შეხედეთ: რამ შეიძლება დააინტერესოს ამა თუ იმ მონაკვეთში მოსწავლეები? სად არის საჭირო უკვე არსებული ცოდნისა და გამოცდილებების დაკავშირება? ეს არ უნდა აღემატებოდეს 5-7 წუთს. მაგ., სვამთ კითხვებს და სთხოვთ:

1. გამოხატონ თავიანთი აზრი ან გადმოსცენ თავიანთი გამოცდილების შესახებ ამა თუ იმ თემასთან დაკავშირებით.
2. აღნიშნონ, როგორ მოიქცეოდნენ ისინი მსგავს სიტუაციაში.
3. თქვან, რაზეა ტექსტში საუბარი? – ილუსტრაციებისა და ტექსტის სათაურის მიხედვით.
4. წერით დაფაზე საკვანძო სიტყვას ტექსტიდან და კითხულობთ, თუ რა ახსენდებათ მოსწავლეებს ამ სიტყვის გაგებისას.

2. სასწავლო მასალის წარდგენა

სასწავლო მასალის წარდგენის ეტაპზე, მოსწავლე ეცნობა ახალ ტექსტს (მოსასმენი ან საკითხავი). აქ ლაპარაკია ტექსტის მხოლოდ გლობალურ გაგებაზე. მაგ.:

1. თქვენ ასმენინებთ ტექსტს. ისინი ისმენენ და აღნიშნავენ (არჩევით), თუ რის შესახებ არის მასში ლაპარაკი.
2. მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს და აღნიშნავენ ცხრილში, სწორია თუ არა გამონათქვამები ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე.

3. შემდეგი ეტაპია სემანტიზირება (უცხო სიტყვების, გამოთქმების და წინადადებების ახსნა)

მიზანია, რომ მოსწავლეებმა წარდგენილი ტექსტი კონტექსტზე დაყრდნობით გაიგონ. მოსწავლეებს უნდა გამოუმუშავდეთ ჩვევა, კონტექსტიდან გამოიცნონ ახალი სიტყვების მნიშვნელობა. მხოლოდ ამის შემდეგ ამოწმებენ სიტყვების მნიშვნელობებს ლექსიკონში. სიტყვები, რომელთა მნიშვნელობებსაც მოსწავლეები თვითონ გამოიცნობენ, ამახსოვრდებათ უკეთ, ვიდრე მასწავლებლის მიერ ახსნილი სიტყვები.

4. ვარჯიში (წერა, გრამტიკა, ლაპარაკი, წარმოთქმა/ინტონაცია, კითხვა, მოსმენა, მართლწერა, ლექსიკა)

ტექსტის კონტექსტუალურად გაგების შემდეგ, მოსწავლეები ვარჯიშობენ ახალ გამოთქმებზე, რომლებიც თავდაპირველად აგებულია ახალ სიტყვებსა და გამოთქმებზე და შემდეგ კი უფრო ფართო, გახსნილ სავარჯიშოებზე. ვარჯიშის ფაზაში (საწყის და დამაგვირგვინებელ ეტაპზე შესასრულებელი სავარჯიშოები) მოსწავლეები სწავლობენ ახალი სიტყვების გამოყენებას. მნიშვნელობა აქვს სავარჯიშოების თანმიმდევრობასაც. თავდაპირველად გასაკეთებელი სავარჯიშოები ორიენტირებულია ახლად ნასწავლი ენობრივი ფორმების სწორად გამოყენებასა და მათ დაუფლებაზე, რაც აზრის გამოხატვის საფუძველი უნდა გახდეს. ამის შემდეგ, შესაძლებელია, შემოქმედებით სავარჯიშოებზე გადასვლა, რომელთაც მოსწავლეები თავისუფალი ლაპარაკისკენ მიჰყავთ.

გრამატიკა

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მაგალითების ნიმუშის გააზრებით, დედუქციის გზით, მოსწავლეებმა თვითონ შეძლონ გრამატიკული წესის აღმოჩენა. ამის შემდეგ, გადავდივართ ვარჯიშის ფაზაზე. დედუქციის გზით მიღებული გრამატიკული წესი ამაში ძალიან დაგვეხმარება; თუმცა, ბევრ შემთხვევაში მიზანშეწონილია გამოთქმების სწავლა ანალიზის გარეშე. ასე მაგ.: Es tut mir leid, იმის ახსნას, თუ რატომ არის გამოყენებული აქ დატივის ფორმა, ძალიან დიდი დრო დასჭირდება. ამიტომ, სჯობს, მოსწავლემ ეს უბრალოდ, ყოველგვარი გაანალიზების გარეშე დაიმახსოვროს.

საშინაო დავალებები

საშინაო დავალებები მოცემულია სამუშაო რვეულში. ისინი გამიზნულია დამოუკიდებელი სამუშაოსთვის. მოსწავლე აკეთებს სავარჯიშოებს სახლში,

ამოწმებს მათ სამუშაო რეჟულის ბოლოს მოთავსებული პასუხებით, აღნიშნავს შეცდომებს წითელი მეღნიით, და წერს შეცდომების გასწორებას. საშინაო დავალება ყოველ გაკვეთილზე უნდა შემოწმდეს, მაგრამ მასზე ბევრი დრო არ უნდა დაიხარჯოს: მასწავლებელმა უნდა ჩამოიაროს კლასში, გადახედვით დაადასტუროს დავალების შესრულება, შემდეგ არჩევით, რიგრიგობით, გამოიძახოს დაფასთან რამდენიმე მოსწავლე და დააწერინოს ის წინადადებები, რომლებშიც შეცდომები იყო დაშვებული და გასწორდა. ამით იგი დარწმუნდება, რომ მოსწავლემ ნამდვილად იმუშავა სახლში. ეს შემოწმება სათანადო ნიშნით უნდა შეფასდეს. ამ გზით, მოსწავლეებს თანდათან გამოუმუშავდებათ დავალების კეთილსინდისიერად შესრულების ჩვევა.

V. გაკვეთილის დაგეგმვა (ზოგადი პრინციპები)

გაკვეთილის დაგეგმვის კრიტერიუმებია:

1.სასწავლო მიზნები, 2. აქტივობები, 3. მოსწავლის ორგანიზება, 4. დროის განაწილება, 5. რესურსები (სახელმძღვანელო, კასეტა, თუ რაიმე სხვა დამატებითი მასალა, საჭიროებისამებრ), 6. შემოწმების ფორმები.

ცნობილია, რომ რაიმე ახალს კარგად ვსწავლობთ, თუ ის ჩვენთვის უკვე ცნობილს უკავშირდება, ამიტომ გაკვეთილის დაგეგმვისას საჭიროა განვსაზღვროთ, რა იცის მოსწავლემ, რათა გაკვეთილი უკვე არსებულ ცოდნას დაუკავშიროთ. გავუკეთოთ ორგანიზება ჯგუფურ, ინდივიდუალურ, წყვილებში მუშაობას, როლების გათამაშებას. განვსაზღვროთ, რა უნდა იცოდეს და შეძლოს მოსწავლემ გაკვეთილის დასასრულს. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ განვსაზღვროთ, რამდენი დრო დასჭირდება ცალკეული სავარჯიშოს შესრულებას. მაგალითად, ასე გამოიყურება ერთ-ერთი გაკვეთილის დაგეგმვის ცხრილის ნიმუში.

მოსმენა (თავი VI, სავარჯიშო 9, გვ. 49)

სასწავლო მიზნები	აქტივობები	მოსწავლის ორგანიზება	დროის განაწილება	რესურსები	შემოწმება
1) საშინაო დავალების შემოწმება;	საშინაო დავალების წარდგენა;	ინდივიდუალური;	5 წუთი		მასწავლებელი – მოსწავლე;
2) მოტივაცია;	მასწავლებელი პარალელს ავლებს მოსწავლეების პირად გამოცდილ-		5 წუთი		

3) მოსასმენი ტექსტის წარდგენა და გაგება;	ბასთან; 1) მოსმენა და არჩევა, თუ რაზეა ლაპარაკი; 2) მოსმენა და სწორი პასუხის აღნიშვნა;	ინდივიდუალური;	5 წუთი 5 წუთი	აუდიო კასეტა, მოსწავლის წიგნი;	კითხვებზე პასუხი (გერმანულად);
4) მასალის ახსნა, სემანტიზირება;	კონტექსტზე დაყრდნობით ახალი სიტყვების მნიშვნელობების გაგება;		10 წუთი	მოსწავლის წიგნი;	
6) ვარჯიში; მოსასმენი ტექსტიდან გამომდინარე კომუნიკაცია;	დიალოგის შედგენა მოცემული კითხვების გამოყენებით;	წყვილებში;	15 წუთი	მოსწავლის წიგნი;	წყვილებში; როლებში დიალოგის გათამაშება;

VI. რამდენიმე გაკვეთილის სანიმუშო სცენარი

I თავი, სავარჯიშო 1
კითხვა, ლაპარაკი

მიზანი: ტექსტის შინაარსის გაგება; აქტივობა: კითხვა, მნიშვნელოვანია კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება; სოციალური ფორმა: ყოველი მოსწავლის პერსონალური მუშაობა ტექსტთან; გამოსაყენებელი მასალა – დიალოგი.

საშინაო დავალების შემოწმება (5 წუთი)

შესავალ ფაზაში (მოტივაცია) (5 წუთი) მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლეებს პატარა რუკაზე, რომელიც სავარჯიშოსთან არის მოცემული და აღნიშნავს, რომელ ქვეყანაზე იქნება საუბარი; იკითხავს, იციან თუ არა მათ რაიმე ამ ქვეყნის შესახებ, რა არის სახელმწიფო ენა.

წარდგენის ფაზა (7-10 წუთი)

თითოეული მოსწავლე კითხულობს დიალოგს თავისთვის, რის შემდეგაც მათ უნდა თქვან, თუ რის შესახებ არის ტექსტში საუბარი. მოცემულია სამი სავარუდო პასუხი, რომელთაგანაც ც სწორი პასუხია.

სემანტიზირების ფაზა (10 წუთი)

მოსწავლეები ინდივიდუალურად მუშაობენ. კიდევ ერთხელ კითხულობენ ტექსტს და მონიშნავენ მათთვის უცხო სიტყვებს. ცდილობენ, კონტექსტში

ამოიცნონ მნიშვნელობა. სათითაოდ ხმამაღლა კითხულობენ მნიშვნელობებს, ამოწმებენ ლექსიკონში ან ასწორებენ თქვენი დახმარებით.

შეიძლება მისცეთ ამას შეჯიბრის ფორმა – ვისი მნიშვნელობაც სწორი გამოვა, გამარჯვებულია; ან: ვინც ყველაზე ადრე იპოვის სიტყვას ლექსიკონში – გამარჯვებულია. შემდეგ იწვევთ მოსწავლეს დაფასთან, რომ დაწეროს დაფაზე სიტყვები განმარტებებით.

ვარჯიშის ფაზა (15-17 წუთი)

ა. საწყის ეტაპზე შესასრულებელი სავარჯიშოები.

ძიებითი კითხვა. მოსწავლეებმა ტექსტში მნიშვნელოვანი ინფორმაციები უნდა მოიძიონ. ამ ინფორმაციებზე დაყრდნობით მათ უნდა შეავსონ ის წინადადებები, რომლებიც დიალოგის შემდეგ არის მოცემული.

შემდეგი სავარჯიშო: წინადადებების ნაწილების (ერთი ზედმეტია) დაკავშირება ისე, რომ შედგეს ერთი მთლიანი წინადადება.

ბ. დამაგვირგვინებელ ეტაპზე შესასრულებელი სავარჯიშოები.

საკითხავ ტექსტზე დაყრდნობით და ლექსიკური მასალის გამოყენებით დიალოგების გათამაშება. თავდაპირველად მასწავლებელი მოსწავლეებს დაუსვამს კითხვებს: Wie heißt du? Woher kommst du? Wo wohnst du? Welche Sprache spricht man in deinem Land? Wie lange hast du Ferien? რის შემდეგაც, უკვე შესაძლებელია ისინი დაწყვილდნენ და თვითონ გაითამაშონ დიალოგები.

II თავი, სავარჯიშო 1

კითხვა, გრამატიკა

საშინაო დავალების შემოწმება (5 წუთი)

შესავალ ნაწილში (5 წუთი) 1) ნახატებზე დაყრდნობით მოსწავლეები გამოთქვამენ აზრს, თუ რაზე შეიძლება იყოს ტექსტში ლაპარაკი. 2) მასწავლებელი შეეცდება, შეეხოს მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის თემას.

წარდგენა (10 წუთი)

მოსწავლეები გაეცნობიან სავარჯიშოს მითითებას და კითხულობენ ტექსტებს ჯერ თავისთვის და სურათებს შეუსაბამებენ მათ, შემდეგ - მონაცვლეობით, ხმამაღლა და ამოწმებენ (ერთმანეთში და მასწავლებელთან).

სემანტიზირების ფაზა (10 წუთი)

1) გაუგებარი ადგილები გაირჩევა მასწავლებლის დახმარებით. 2) ტექსტში ახალი სიტყვების კონტექსტზე დაყრდნობით გაგება, მოსწავლეები უბრუნდებიან მე-2 სავარჯიშოს მითითებას და ასრულებენ მას. ისინი ინდივიდუალურად მუშაობენ. მასწავლებელი კიდევ ერთხელ ამოწმებს, თუ რამდენად სწორად გაიგეს მოსწავლეებმა ეს ტექსტები. პასუხები: a- 2; b- 4; c- 3; d- 1

ვარჯიშის ფაზა (15 წუთი)

1) არსებითი სახელებისა და ზმნების დაწყვილება.

პასუხებია:

das Geschirr spülen

den Tisch abräumen/decken

die Hausaufgaben machen

das Zimmer aufäumen

Ärger kriegen

2) ამ სავარჯიშოში გამოიკვეთა არსებითი სახელის ბრუნება - Akk. ფორმა. მოსწავლეები დედუქციის გზით, თვითონ გამოიყვანენ წესს. იმეორებენ Nom. - ისა და Akk. - ის ფორმებს.

3) ტექსტის საფუძველზე, წინადადებების დაკავშირება ერთმანეთთან. მოსწავლეები მონაცვლეობით კითხულობენ წინადადებებს. ეს დაეხმარება მათ ლექსიკური და გრამატიკული მასალის უკეთ ათვისებაში.

2.-f. 3.-e. 4.-a. 5.-g. 6.-h. 7.-c. 8.-b.

III თავი, სავარჯიშო 1, 2, 3

კითხვა, ლაპარაკი

შესავალ ფაზა (მოტივაცია) (5 წუთი)

მასწავლებელი შესავალის სახით, ისაუბრებს ზოგადად თავაზიანობისა და არათავაზიანობის შესახებ. I სავარჯიშოს დასაწყისში წარმოდგენილია სხვადასხვა შინაარსის ნახატი. დიალოგების მიხედვით, სიტუაციები გერმანულენოვან ფონზეა წარმოდგენილი, მაგრამ თავაზიანობისა და არათავაზიანობის გამოსტვა საქართველოშიც და სხვა ქვეყნებშიც ერთნაირად არის შესაცნობი (თუმცა, ხანდახან ნიუანსობრივად არსებობენ ამა თუ იმ ქვეყნისთვის დამახასიათებელი თავისებურებანიც).

წარდგენის ფაზა (10 წუთი)

მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლეებს I და II სავარჯიშოების ნახატებზე და მოსწავლეებთან ერთად გაარჩევს, რა შინაარსობრივი დატვირთვა შეიძლება ჰქონდეთ მათ. მოსწავლეები წაიკითხავენ სავარჯიშოების მითითებებს და ასევე შესაბამისად თვალს გადაავლებენ დიალოგებს.

სემანტიზირების ფაზა (10 წუთი)

მოსწავლეები ისევ წაიკითხავენ დიალოგებს. უცნობ სიტყვებს ან გამოთქმებს გაარჩევენ.

ვარჯიშის ფაზა (20 წუთი)

მოსწავლეები შეასრულებენ მითითებულ დავალებებს და გადავლენ ლაპარაკის აქტივობის სავარჯიშოზე. დამუშავებული დიალოგების საფუძველზე და ამ სავარჯიშოში მოცემული სიტყვების და გამოთქმების გამოყენებით (ასევე შესაძლებელია საკუთარი ვარიანტების წარმოდგენა), ისინი გაითამაშებენ რომელიმე მათ მიერ შექმნილ სცენას.

IV თავი, სავარჯიშო 7, 8, 9, 10

კითხვა, გრამატიკა, ლაპარაკი

საშინაო დავალების შემოწმება (5 წუთი)

შესავალ ნაწილში (მოტივაცია) (5 წუთი) მოსწავლეები აკვირდებიან სურათებს, გადახედავენ მენიუს და ისაუბრებენ თუ რომელ საჭმელს აიხივდნენ ისინი თავად, რომელი საჭმელია მათთვის ნაცნობი და რომელი არა.

წარდგენის ფაზა (10 წუთი)

მოსწავლეები წაიკითხავენ მოცემულ დიალოგს და მენიუს. სავარაუდო პასუხებიდან სწორ პასუხებს ამოირჩევენ.

სემანტიზირების ფაზა (10-15 წუთი)

მოსწავლეები კიდევ ერთხელ წაიკითხავენ დიალოგს, მონიშნავენ თავიანთის უცხო სიტყვებს და შეეცდებიან მათი მნიშვნელობების კონტექსტიდან გამომდინარე ამოცნობას. ამის შემდეგ ისინი შეასრულებენ მე-8 სავარჯიშოს, რომელიც ასევე დიალოგიდან გამომდინარეობს და რომელიც მათ დიალოგში მოცემული სიტყვების და გამონათქვამების უკეთ ათვისებაში დაეხმარება. ამის შემდეგ კი გადადიან გრამატიკულ ჩართვაზე. მოსწავლეები იმეორებენ ე ფუძიან ზმნებს და ვარჯიშობენ.

ვარჯიშის ფაზა (15 წუთი)

მოსწავლეები დაწვეილდებიან და გაითამაშებენ სიტუაციას კაფეში. გააკეთილის დასასრულს შესაძლებელია საუკეთესო წყვილის დასახელება: რომელმა წყვილმა გამოიყენა ყველაზე მეტად ახალი სიტყვები და გამონათქვამები, რომელმა წყვილმა დაუშვა ყველაზე ნაკლები გრამატიკული შეცდომა, რომელი წყვილის წარმოთქმა იყო საუკეთესო და ა. შ.

VI თავი, სავარჯიშო 9 მოსმენა

საშინაო დავალების შემოწმება (5 წუთი)

მოტივაცია (5 წუთი)

1) მიუთითებთ მოსწავლეებს ნახატზე: ექიმი სინჯავს ბიჭს სვამთ კითხვას:

- Was seht ihr auf dem Bild?
- Was passiert hier?
- Was sagt der Arzt?
- Was sagt der Junge?

2) აგრძელებთ კითხვების დასმას:

თქვენც ყოფილხართ ექიმთან; რა გტკიოდათ, წამალი თუ გამოგიწერათ და ა.შ. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ ექიმი, რას ჰკითხავთ ან რას ეტყვით პაციენტს? დაფაზე წერთ საკვანძო სიტყვებს ან გამოთქმებს:

Der Hals tut mir weh./Ich habe Halsschmerzen.

Ich bin erkältet.

Fieber

Medikament/Arznei

3) ამ თემაზე დიალოგის მოსმენის წინ, იმისთვის, რომ მოსმენა მიზანმიმართული იყოს, გააფრთხილეთ კლასი, რომ მიაქციონ ყურადღება, თუ სად ხდება მოქმედება; რამდენი პირი მონაწილეობს დიალოგში; რაზე საუბრობენ და ა. შ. რადგან შემდეგ დასჭირდებათ ასეთ კითხვებზე პასუხის გაცემა.

წარდგენის ფაზა (10 წუთი)

მოსწავლეები ისმენენ დიალოგს., რის შემდეგაც სამი სავარაუდო პასუხიდან აირჩევენ ერთ სწორ პასუხს, თუ რაზეა საუბარი მოსასმენ ტექსტში.

მოსმენის შემდეგ თქვენ სვამთ კითხვებს. თუ ვერ გაიგეს მოსმენილი, ან

რაიმე სხვანაირად გაიგეს, მაშინ კიდევ რამოდენიმეჯერ ასმენინებთ

დიალოგს, თითო ჯერზე ახალი დავალების მიცემით: 1) მოისმინეთ და თქვით, ვინ წავიდა? 2) სად წავიდა... 3) რატომ წავიდა?

სემანტიზირების ფაზა (10-15 წუთი)

მოსწავლეები ტექსტის ან დიალოგის მოსმენის შემდეგ, ცდილობენ კონტექსტიდან ამოიციონ სიტყვების მნიშვნელობები. *Versucht jetzt die Bedeutungen dieser Wörter zu erraten!*


ისინი შინაარსზე დაყრდნობით გამოიცინობენ უცხო სიტყვებს და მიუწერენ სავარაუდო მნიშვნელობებს.

Welche Wörter habt ihr erraten können? Welche Wörter habt ihr nicht erraten können?

მოსწავლეები ხმამაღლა კითხულობენ უცხო სიტყვებს სავარაუდო მნიშვნელობებთან ერთად.

ვარჯიშის ფაზა (15 წუთი)

1) დაფაზე ხატავთ წრეს, გამოიძახებთ მოსწავლეს, რომელიც ჩაწერს შიგ სიტყვას „Schmerzen“.



თითოეული ისრის გასწვრივ მიუწერს: Kopf, Zahn, Hals, Bauch და ა. შ. რასაც სხვა მოსწავლეებიც დაასახელებენ.

2) ამის შემდეგ, იკითხავთ: როგორ იტყვი, თავი/ კბილი/ ყელი მტკივა? პასუხი: Ich habe Kopfschmerzen ან Der Kopf tut mir weh და ა.შ.

3) ერთ-ერთი მოსწავლე ეკითხება მეორეს – რა გტკივა? (თქვენ ხელით ანიშნებთ სხეულის რაიმე ნაწილზე - Kopf, Zahn, Hals, Bauch და ა.შ.) მეორე მოსწავლე შესაბამისად პასუხობს Ich habe Kopfschmerzen ან Der Kopf tut mir weh.

4) მოსწავლეები, წყვილებში, კლასის წინ გაითამაშებენ დიალოგს.

VII თავი, სავარჯიშო 6, 7, 8

კითხვა და წერა

საშინაო დავალების შემოწმება (5 წუთი)

შესავალი ფაზა (5 წუთი)

მოტივაცია - კითხვები: როგორ ატარებენ მოსწავლეები არდადეგებს, შაბათ-კვირას, შესაძლებელია თუ არა მუშაობა. შემდეგ კი მასწავლებელი საუბრობს მათ გერმანელ თანატოლებზე, რომლებიც სწავლასთან ერთად ცდილობენ

იმუშაონ, რათა თავიანთი ჯიბის ფული ჰქონდეთ, ან შეაგროვონ ის სწავლისთვის.

წარდგენის ფაზა (10 წუთი)

მოცემულია სამი განცხადება, რომლებშიც მათი თანატოლები სამსახურს ეძებენ. მოსწავლეები გაეცნობიან სავარჯიშოს მითითებას და შემდეგ კითხულობენ ტექსტებს: ჯერ თავისთვის, შემდეგ - მონაცვლეობით, ხმამაღლა.

შეეცდებიან უცხო სიტყვების კონტექსტში ამოცნობას.

ასევე, მოცემულია განცხადება იმის შესახებ, რომ ერთ-ერთი კაფე ოთხ სასიამოვნო მომსახურე პერსონალს ეძებს. ეს განცხადებაც გაირჩევა.

სემანტიზირების ფაზა (10-15 წუთი)

იხ. წინა გაკვეთილების გარჩევა: ა) უცხო სიტყვების ტექსტში მონიშვნა, ბ) სავარაუდო მნიშვნელობების მიწერა, გ) ლექსიკონში შემოწმება, დ)

გამარჯვებული მოსწავლის გამოცხადება (ვისი სავარაუდო მნიშვნელობაც სწორი გამოდგება).

ამის შემდეგ, მოსწავლეები ქვემოთ მოცემულ გრაფაში შეიტანენ გერმანელი მოსწავლეების მონაცემებს. აგრეთვე, შეასრულებენ მე-7 სავარჯიშოს მოთხოვნებს.

ვარჯიშის ფაზა (10-15 წუთი)

1) განცხადებებიდან გამომდინარე კითხვებზე პასუხი.

2) დასასრულს - განცხადებების მსგავსად, მოსწავლეები წერენ თავიანთ მონაცემებს.

IX თავი, სავარჯიშო 12, 13, 14, 15, 16
კითხვა, გრამატიკა

საშინაო დავალების შემოწმება (5 წუთი)

შესავალ ნაწილში (მოტივაცია) (5 წუთი) მოსწავლეები აკვირდებიან სურათებს, და გამოთქვამენ თავიანთ აზრს, თუ რის შესახებ შეიძლება იყოს ტექსტის შინაარსი.

წარდგენის ფაზა (10 წუთი)

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს ინდივიდუალურად. ისინი ისაუბრებენ თუ რამდენად სწორად ამოიცნეს სურათების მიხედვით თუ რაზე შეიძლებოდა ყოფილიყო ტექსტში საუბარი. ამის შემდეგ კი ტექსტის ცალკეულ ნაწილებს სურათებს შეუსაბამებენ. ასევე ისინი მიუთითებენ ერთ სურათზე, რომელიც არ შეესაბამება ტექსტის შინაარსს.

სემანტიზირების ფაზა (10-15 წუთი)

მოსწავლეები კიდევ ერთხელ წაიკითხავენ ტექსტს და მომდევნო სავარჯიშოში აღნიშნავენ სწორ და არასწორ პასუხებს. ამ დავალების შესასრულებლად მოსწავლეები მუშაობენ ინდივიდუალურად. დასასრულს ისინი მონიშნულ პასუხებს ერთმანეთში გადაამოწმებენ. ამის შემდეგ ისინი კიდევ ერთხელ წაიკითხავენ ტექსტს და ყურადღებას ცალკეულ სიტყვებზე და გამონათქვამებზე გაამახვილებენ. მომდევნო სავარჯიშოს შესრულებისას, მასწავლებელი ამოწმებს, თუ რამდენად სწორად გაიგეს ტექსტში გამოყენებული გამონათქვამების შინაარსი. დასასრულს ისინი მე-15 სავარჯიშოში დასმულ შეკითხვებს გასცემენ პასუხებს.

ვარჯიშის ფაზა (15 წუთი)

მასწავლებელი ხსნის გრამატიკულ მასალას. ისინი ერთად შეასრულებენ გრამატიკულ სავარჯიშოს და გაკვეთილის დასასრულს გადავლენ თვითშეფასების ტესტზე, რომელიც გავლილ მასალას მოიცავს. ტესტში შეფასების შეტანისას, შესაძლებელია მათ გაიხსენონ და მოკლედ ჩამაყალიბონ ის საკითხები, რომლებიც ტესტშია მოცემული.

VII. დეტალური კომენტარები მოსწავლის წიგნის თითოეულ სტრუქტურულ ელემენტთან და მის შემადგენელ ნაწილებთან დაკავშირებით

“*Natürlich Deutsch*” მიზნად ისახავს მოსწავლეებში ოთხივე სამეტყველო უნარ-ჩვევის ჩამოყალიბებას. ყველა უნარ-ჩვევა სახელმძღვანელოს ყოველ თემაში ენობრივად გამართულ დონეზე მუშავდება. ამრიგად, ისწავლება გრამატიკაც. აგრეთვე, სტანდარტის შესაბამისად, მოსწავლე სწავლობს სწავლას და ეცნობა როგორც გერმანულ და ქართულ, ასევე მსოფლიო კულტურას. თითოეულ თემაში მასალა სათანადო რუბრიკებით არის წარმოდგენილი. ქვემოთ განვიხილავთ, თუ როგორ ხდება ეს.

კითხვა

მიზანი: ტექსტის შინაარსის გაგება და კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება. კითხვის უნარის გასავითარებლად გამოყენებულია მოსწავლის დონისთვის გადამუშავებული ტექსტები.

მოსწავლე განსაზღვრავს კითხვის მიზანს და იყენებს კითხვის სხვადასხვა სტრატეგიებს (გაცნობითი, ძიებითი და შესწავლითი). თავდაპირველად, მოსწავლეები ეცნობიან სავარჯიშოს მითითებებს და შემდეგ კითხულობენ მას. ტექსტს კითხულობენ ჯერ ინდივიდუალურად, ჩუმად, შემდეგ კი – მონაცვლეობით, ხმამაღლა. საწყის ეტაპზე მათ უნდა ამოიცნონ, თუ რის შესახებ არის ტექსტში საუბარი. ამისთვის მოცემულია რამდენიმე სათაური, რომელთაგანაც მოსწავლეებმა უნდა ამოირჩიონ ერთი სწორი ვარიანტი. ასევე მოცემულია სურათებიც, რომლებიც ტექსტის თითოეულ ნაწილს უნდა შეუსაბამონ. ისინი არ ამახვილებენ ყურადღებას უცხო სიტყვებზე: მათ უნდა შეძლონ კონტექსტში სიტყვების მნიშვნელობების ამოცნობა. ტექსტს მოსდევს კითხვის გაგების შესამოწმებელი სავარჯიშოები, როგორიცაა:

1) არის თუ არა ტექსტში (მოცემულია) ასეთი ინფორმაცია?

მონიშნე – ა) კი, ბ) არა გ) ტექსტი არაფერს გვეუბნება ამის შესახებ.

2) ტექსტებიდან ფაქტობრივი ინფორმაციის, პერსონაჟების, ამბის მსვლელობის და თანამიმდევრობის ამოცნობა, და სხვ.

მოსმენა

მიზანი: მოსმენის უნარ-ჩვევის განვითარება. განვრცობა: ლაპარაკი. ტექსტის გაგება სხვადასხვა ორიენტირებზე დაყრდნობით.

სოციალური ფორმა: ინდივიდუალური და წყვილებში მუშაობა.

გამოსაყენებელი მასალა: აუდიოკასეტაზე მოსასმენი დიალოგი.

- 1) ილუსტრაციებსა და სათაურზე დაყრდნობით მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდს მოსასმენი დიალოგის შინაარსის შესახებ.
- 2) ისმენენ დიალოგს. მოსმენის შემდეგ, მოსწავლეები პასუხობენ კითხვებს მოსმენილის შესახებ - ვინ, სად, როდის, როგორ და სხვ. ამგვარად ვლინდება, რა დარჩა გაუგებარი. მასწავლებელი არ გაშიფრავს გაუგებარ ადგილებს, მეორე და მესამე მოსმენისას მოსწავლეები თვითონ ცდილობენ მათ გაგებას და უცნობი სიტყვების ან გამოთქმების კონტექსტიდან მიხვედრას, შემდეგ კი მასწავლებელთან ერთად შემოწმებას/დამუშავებას.
- 3) შემდეგი ეტაპია დიალოგის წყვილებში გათამაშება. მოსწავლეებს სურვილისამებრ შეუძლიათ ამოირჩიონ და განავრცონ ფრაზები.

ლაპარაკი

სასწავლო სიტუაციებში მონაწილეობა, როლების თამაში, კომუნიკაცია, ასევე საკუთარი აზრის გამოთქმა წინასწარ მოცემული სამეტყველო კონსტრუქციების დახმარებით.

მიზანია: მოსწავლემ თავი გაართვას ყოფით საკომუნიკაციო სიტუაციას.

ინტერაქციის დროს მან უნდა შეძლოს ამ სიტუაციის შესაბამისი გამოთქმების შერჩევა. მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში.

ამ შედეგის მიღწევა ხდება შემდეგი პროცედურის გამოყენებით:

- 1) მოსწავლეები კითხულობენ/ისმენენ დიალოგს. მათ უნდა გაიგონ ტექსტი კონტექსტუალურად და გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები მასწავლებელთან ერთად გაარჩიონ.
- 2) დიალოგის ქვემოთ მოცემული სიტყვების დახმარებით მოსწავლეები თვითონ ადგენენ (წერენ) მსგავს დიალოგს.
- 3) მოსწავლეები წყვილებში კითხულობენ შედგენილ დიალოგს.
- 4) როლებში გაითამაშებენ დიალოგს კლასში.

წერა

სოციალური ფორმა: ინდივიდუალური მუშაობა.

მიზანი: ნიმუშის მიხედვით აღწერითი ხასიათის ტექსტების, გაკვეთილების

ცხრილის შედგენა, მოკლე შეტყობინების, წერილის წერა, მაგ. -

ელექტრონული ფოსტით გასაგზავნი წერილის დაწერა, ანკეტის შევსება, და სხვ.

მოცემულია ინფორმაცია - წინადადებები მესამე პირში და რამდენიმე სიტყვა

ან გამოთქმა. მოსწავლემ სწორად უნდა გამოიყენოს მისაღმების და

დამშვიდობების ფორმები. ან: ნიმუშის მიხედვით, დაწეროს საჭმლის რეცეპტი, და სხვ.

შემოწმება: სოციალური ფორმა: დამოუკიდებელი და წყვილებში მუშაობა.

მასწავლებლის მიერ შემოწმება.

სწავლის სწავლა

1) სასწავლო დავალებები ორგანიზებულია ლოგოებით (კითხვის, წერის, მოსმენისა და ლაპარაკის აღმნიშვნელი პირობითი ნიშნებით) და რუბრიკების სახელწოდებებით;

2) მოსწავლე გაიაზრებს სწავლის პროცესს, ანუ - თითოეული უნარ-ჩვევის

ჩამოყალიბების დროს შესრულებული საფეხურების შინაარსსა და

თანამიმდევრობას, რისთვისაც ავსებს ცხრილებს, პასუხობს კითხვებს. ასეთი

დამხმარე ცხრილები სახელმძღვანელოში პერიოდულად არის მოცემული და

მოსწავლე მათ ავსებს თემაზე მუშაობის პროცესში. მოსწავლე აცნობიერებს,

თუ რა გზით არის შესაძლებელი მიზნის მიღწევა – როგორ ისწავლოს უცხო სიტყვები. მან უნდა შეძლოს რესურსებისა და სასწავლო საქმიანობის დამოუკიდებლად მართვა. ამ დროს მოსწავლეები ინდივიდუალურად მუშაობენ, კითხულობენ სავარჯიშოს მითითებას, რის შემდეგაც აღნიშნავენ იმ ვარიანტებს, რომელთაც სიტყვების სწავლისას მიმართავენ. დასასრულს, იმსჯელებენ, თუ რომელი პასუხია ოპტიმალური.

3) მოსწავლეები ჯერ თვითონ ასწორებენ თავიანთ ნაწერს, შემდეგ - ერთმანეთის ნაწერს, შემდეგ, ნაწერს აძლევენ მასწავლებელს გასასწორებლად, ბოლოს კი გამოვლენილი შეცდომების გასწორება შეაქვთ რვეულში – შემდგომში დასამახსოვრებლად. ავსებენ თანაშეფასების ცხრილს:

ინფორმაცია	მე	მე-2 მოსწავლე	მასწავლებელი
1) მისაღმება 2) ყოველდღიური საქმიანობის, რაიმე ახალი ამბის, ... შესახებ 3) გამომშვიდობება შეცდომები: 1) გრამატიკული 2) ლექსიკური (სიტყვები) 3) მართლწერა			

კულტურათა დიალოგი

ლინგვისტური კომპეტენციის ჩამოყალიბების გარდა, სახელმძღვანელო ითვალისწინებს ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ფასეულობებში მოსწავლის გათვითცნობიერებას; მსოფლიო და შესასწავლი ენის ქვეყნების კულტურის გაცნობას თავისი ქვეყნის კულტურასთან ერთად; მოსწავლე ჩართულია ე.წ. **კულტურათა დიალოგში**. იგი ითავისებს, რომ ისიც ამ მსოფლიოს ნაწილს წარმოადგენს, მიუხედავად ცალკეული განსხვავებებისა, რაც მასში აყალიბებს ტოლერანტობის, მოყვასის სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობებს. ამიტომ, სახელმძღვანელოში მოცემულია დავალებები - თავისი ქვეყნის შესაბამის მოვლენასთან შედარების, განსხვავებების თუ მსგავსებების აღმოჩენის შესახებ. მოსწავლეები ეცნობიან ქართული და გერმანული კულტურის ძეგლებს, წეს-ჩვეულებებს, დღესასწაულებს, ავლებენ პარალელებს. კულტურათა დიალოგი მონაწილეობს თვით სასწავლო ტექსტებში.

ოთხივე სამეტყველო უნარ-ჩვევის დაუფლებისთვის აუცილებელია აგრეთვე გრამატიკისა და ლექსიკის სწავლა.

გრამატიკა

პროგრამით გათვალისწინებული გრამატიკული მასალა მიწოდებულია კონტექსტზე დაყრდნობით. მასალის მიწოდებისას გამოყენებულია დედუქციის

მეთოდი: მაგალითებიდან გამომდინარე მოსწავლე თვითონ ან მასწავლებლის მცირე დახმარებით აღმოაჩენს გრამატიკულ წესებს. შესასწავლი გრამატიკული მასალა ჩვეულებრივ გვხვდება საკითხავ ან მოსასმენ ტექსტში და მისი გაცნობაც იწყება ტექსტის კითხვის თუ მოსმენის დროს. მოსწავლეები კითხვის/მოსმენის დროს პოულობენ მითითებულ გრამატიკულ კონსტრუქციას, აანალიზებენ მას (დავალების ინსტრუქციისა ან მასწავლებლის მითითების მიხედვით) და დედუქციის გზით გამოჰყავთ წესი. შემდეგ ეტაპზე წარმოებს ამ გრამატიკული კონსტრუქციის გამოყენებაზე ვარჯიში. მაგალითად:

W - კითხვითი სიტყვები

ჩამოთვლილია კითხვითი სიტყვები, რომლებიც ხშირად გვხვდება დიალოგებსა და სასაუბრო ტექსტებში. მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ მათი სწორად ჩასმა წინადადებებში, მნიშვნელობებს ისინი კონტექსტიდან უნდა მიხვდნენ.

თავიდან მასწავლებელი წააკითხებს მოსწავლეებს მხოლოდ ამ კითხვით სიტყვებს, ყურადღებას მიაქცევენებს იმაზე, თუ რა განსხვავება და მსგავსებაა მათ შორის (მაგ. განსხვავება *Welche?* -სა და დანარჩენებს შორის არის ის, რომ იგი ცვალებადია სქესის, ბრუნებისა და რიცხვის მიხედვით, მსგავსებაა კი ის, რომ ისინი, ყველა, კითხვით წინადადებას ქმნიან და წინადადების თავში დაისმებიან). გრამატიკასთან დაკავშირებული ამა თუ იმ საკითხის ახსნა შესაძლებელია ქართულ ენაზე მოხდეს. ყველას შეუძლია გრამატიკის ნაწილშიც (სახელმძღვანელოს ბოლოს მოთავსებულ დანართში) ჩაიხედოს.

ლექსიკა

ახალი სიტყვები და გამოთქმები მოსწავლეს მიეწოდება კონტექსტუალურად. კონტექსტზე დაყრდნობით მოსწავლე უნდა მიხვდეს ახალი სიტყვის / გამოთქმის მნიშვნელობას. თარგმანი (ლექსიკონი) გამოიყენება მას შემდეგ, რაც მოსწავლე მიხვდება სიტყვის მნიშვნელობას და სურს მისი სისწორის გადამოწმება, ან იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლეს მშობლიურ ენაზე მისი შესატყვისის მოძებნა უჭირს.

VIII. შეფასების ფორმები, რეკომენდაციები შეფასებისთვის, ტესტების ნიმუშები

მოსწავლის ცოდნის შეფასება ხდება ზეპირი და კითხვითი აქტივობების, საკლასო წერის, საშინაო დავალებების და საკონტროლო წერის მიხედვით. პირველი სამი კომპონენტი - ზეპირი და კითხვითი აქტივობა, საკლასო წერა და საშინაო დავალება - გულისხმობს მიმდინარე შეფასებას, ხოლო ბოლო - საკონტროლო სამუშაო - შემაჯამებელ შეფასებას.

მიმდინარე შეფასების მიზანია, მოსწავლეთა დახმარება სწავლის დონის ამაღლებისთვის. რადგან ახალი მეთოდიკით ჩატარებულ გაკვეთილზე არ ხდება მოსწავლის ტრადიციული გზით გამოკითხვა (გაკვეთილის მოყოლით), დააკვირდით ცალკეული მოსწავლეების წარმატებას სახელმძღვანელოში სხვადასხვა ეტაპზე გამოყენებული სავარჯიშოების შესრულების დროს და

შეიტანეთ თქვენი დაკვირვების შედეგი სპეციალურად ამისთვის განკუთვნილ რეფლში ან ჟურნალში. ეს მოგცემთ საშუალებას, პერიოდულად (დაახლ. ყოველკვირეულად), შეაფასოთ ყოველი მოსწავლე.

1. ზეპირი და საკლასო აქტივობები ითვალისწინებს: კითხვის, ზეპირმეტყველების, მოსმენის, გამოთქმის, გრამატიკული და ლექსიკური ცოდნის და თვითშეფასების უნარების შეფასებას, რაც თავისთავად ფასდება შემდეგი აქტივობებით: უცნობი სიტყვების ამოცნობა კონტექსტის მიხედვით, მოსმენილი ან წაკითხული ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე სწორი პასუხის შემოხაზვა, ტექსტის აბზაცების დასათაურება, კითხვების დასმა, ნაკლულ ტექსტებში სიტყვების ჩასმა, თვითშეფასების სქემების შევსება და ა. შ.

2. საკლასო წერის აქტივობები ითვალისწინებს: წერითი უნარ-ჩვევების, გრამატიკული, ლექსიკური და ორთოგრაფიული უნარ-ჩვევების შეფასებას. უნარ-ჩვევები ფასდება შემდეგი აქტივობებით: სხვადასხვა ტიპის ტექსტის შედგენა, წინადადებებში სიტყვის სათანადო ფორმაში ჩასმა, წინადადებების ტრანსფორმირება, ნაკლულ ტექსტებში სიტყვების ჩასმა.

3. საშინაო დავალებები: ფასდება შესრულებული დავალებების ხარისხი და დავალებების შესრულების სისტემატურობა.

შემაჯამებელი შეფასება ტრიმესტრის ბოლოს

საკონტროლო სამუშაო: შემაჯამებელი შეფასება განხორციელდება საკონტროლო სამუშაოთი: ტესტირებით და საკონტროლო ზეპირი გამოკითხვით. ნიშნის გამოყვანა კი მოხდება შემდეგნაირად: ტესტირებისას მიღებული ქულები გაიყოფა ამ ტესტის 5 კომპონენტზე. მაგ., მოსწავლემ ტესტირებაში დააგროვა 40 ქულა. $40 : 5 = 8$. მიღებულ რაოდენობას დაემატება საკონტროლო ზეპირი გამოკითხვის ქულა. საერთო ნიშნის გამოსაყვანად კი ნიშანთა ჯამი გაიყოფა 2-ზე. ასე მაგ.: თუ მოსწავლემ ტესტირებაში მიიღო 8 ქულა და საკონტროლო ზეპირ გამოკითხვაში 9 ქულა, საბოლოო ნიშანი იქნება: $8 + 9 = 17 : 2 = 8,5$ (დამრგვალების შედეგად – 8 ან 9 ქულა).

ტესტის ნიმუში კითხვის უნარის შესამოწმებლად

Der Ausflug

Oliver sagt: „Ich habe Hunger. Hat jemand einen Keks für mich?“

Katrin fragt ihn: „Möchtest du vielleicht einen Apfel? Ich gebe dir einen.“

„Das ist nett von dir. Danke!“, lacht Oliver.

Oliver sagt: „Ich habe Durst. Hat jemand etwas zum Trinken für mich?“

Katrin fragt ihn: „Ich habe Mineralwasser, möchtest du trinken?“

„Das ist wirklich nett von dir, Danke nochmals.“

Katrin fragt: „Möchte jemand Volleyball spielen?“

Tobias sagt: „Ich habe jetzt keine Lust.“

Nadin sagt: „Ich möchte lieber Karten spielen.“

Natascha sagt: „Ich möchte erstmal mein Buch weiterlesen, dann können wir Karten spielen.“

Oliver fragt: „Hat jemand noch etwas zum Essen für mich? Ich habe noch Hunger.“

Katrin sagt: „Ich fahre jetzt lieber nach Hause!“

Kreuze die richtige Antwort an.

- a. Die Kinder machen einen Ausflug.
- b. Oliver hat Hunger.
- c. Oliver möchte einen Apfel essen.
- d. Katrin möchte einen Keks essen.
- e. Oliver isst den Apfel.
- f. Katrin gibt Oliver Mineralwasser zum Trinken.
- g. Katrin bedankt sich nochmals bei Oliver.
- h. Tobias und Katrin spielen Volleyball.
- i. Katrin gibt Oliver noch einen Apfel.
- j. Katrin ist unzufrieden.

ნიშნის გამოსაყვანად თითოეულ სწორ პასუხში წეროთ 1 ქულას, არასწორ პასუხში კი 0-ს. მაქსიმალური ქულა – 10.

ტესტის ნიმუში წერიითი უნარის შესამოწმებლად

Setze die passenden Wörter ein.

In eine Schüssel ... und Pfeffer

1 Esslöffel Öl und ½ Esslöffel Essig

1 kleine Zwiebel, 3 gekochte Kartoffeln, 1 hart gekochtes Ei, 1 Gewürzgurke und 2

Fischfilets ... und in die Sauce

Alles gut Fertig ist der

hinzufügen / geben / Salz klein schneiden / streuen Salat / umrühren

ნიშნის გამოსაყვანად თითოეულ სწორ პასუხში წეროთ 1 ქულას, არასწორ პასუხში – 0-ს. მაქსიმალური ქულა – 7.

ტესტის ნიმუში მოსმენის უნარის შესამოწმებლად

Höre den Text und kreuze an: richtig oder falsch?

Nach dem Kindergarten gehen alle Kinder im Alter von sechs oder sieben Jahren in die Grundschule. Dort bleiben sie vier Jahre. Danach gehen ungefähr 45 Prozent auf die Hauptschule, 25 Prozent auf die Realschule und 30 Prozent auf das Gymnasium. In einigen Bundesländern gibt es auch Gesamtschulen. Nach der Hauptschule kann man arbeiten und Geld verdienen oder eine Lehre machen. Nach dem Abitur kann man einen Beruf lernen oder an der Universität studieren.

	richtig	falsch
1. Im Text geht es um die Schulen in Deutschland.		
2. Die Kinder mit sechs oder sieben Jahren gehen in die Grundschule.		
3. In der Grundschule lernen die Kinder sechs Jahre.		
4. Ungefähr 45 Prozent der Kinder besuchen die Hauptschule.		
5. Fast alle Kinder gehen ins Gymnasium.		
6. Ungefähr 25 Prozent der Kinder besuchen die Realschule.		
7. In der Schweiz gibt es Gesamtschulen.		
8. Man kann nur nach der Hauptschule arbeiten und Geld verdienen.		
9. Nach dem Kindergarten kann man eine Lehre machen.		
10. Studieren kann man nach dem Abitur.		

ოთოველ სწორ პასუხში წერთ 1 ქულას, არასწორ პასუხში 0-ს.
მაქსიმალური ქულაა 10.

ზეპირი გამოკითხვა

ზეპირი გამოკითხვა, განსხვავებით ტესტირების სხვა კომპონენტებისაგან, მოხდება ცალკე, ტრიმესტრის ბოლოს. მისი შედეგი დაემატება ტესტირების საერთო ჯამს და ამის შედეგად მიიღება საბოლოო ქულა. მთელ კლასს მიეცემა დავალება. მათ უნდა შეძლონ კომუნიკაციის დამყარება ერთმანეთთან. დავალების მიხედვით, მოსწავლეებს ქულები დაეწერებათ კომუნიკაციის გამართულობასა და ენობრივ სისწორეში. საკონტროლო ზეპირი გამოკითხვა შეფასდება 10 ბალიანი სისტემით.

ნიმუში:

Am Samstag möchtest du ins Kino gehen. Der Film fängt um 18 Uhr. Frage deinen Freund/ deine Freundin ob er/sie Zeit hat, ob er/sie mitkommen möchte und wann und wo ihr euch treffen wollt.

- a) ვერ ასერხებს / unfähig (1-3 ქულა)
- b) ნაწილობრივ ასერხებს / teilweise fähig (4-7 ქულა)
- c) თავისუფლად ასერხებს / fähig (8-10 ქულა)

	a 1-3	b 4-7	c 8-10
Kommunikative Kompetenz			
Kann im direkten Kontakt ein einfaches Gespräch beginnen, in Gang halten und beenden.			
Kann elementare Sprachfunktionen ausfüllen und auf sie reagieren.			
Sprachliche Kompetenz			
Verwendet einen begrenzten Wortschatz in Zusammenhang mit konkreten Alltagsbedürfnissen.			
Kann einfache grammatische Strukturen korrekt verwenden, macht aber noch elementare Fehler. trotzdem ist es klar, was der Schüler/die Schülerin ausdrücken möchte.			
Die Aussprache im Allgemein ist klar und genug um verstanden zu werden.			
ქულათა ჯამი			

ნიშნის გამოსაყვანად ქულათა ჯამი კრიტერიუმების რაოდენობაზე გაიყოფა.

IX. სავარჯიშოების პასუხები

I თავი

Bekanntschaft

1. c

2.

1. viele Sachen, z.B. Schokolade, Berge, Käse, Uhren usw.
2. vier Sprachen
3. keine Bundesländer, sondern Kantone
4. 26 Kantone.
5. fünf Wochen.

3.

2.h. 3.i. 4.j. 5.a. 6.b. 7.d. 8.e. 9.f.

4.

Wie ist dein Name?

Woher kommst du, kommst du aus der Schweiz?

Was gibt es in Wien?

Wie bitte? Sacherhotel? Was ist das?

Was gibt es noch in Österreich?

Gibt es in Österreich Kantone oder Bundesländer?

5.

1. Woher kommt sie? 2. Wie heißt er? 3. Wo liegt Wien? 4. Wer ist das? 5. Wie viel kostet die Uhr? (ს6 Was kostet die Uhr?) 6. Wohin geht er? 7. Welches Haus ist schön? 8. Wann hat er Ferien? 9. Was haben wir?

6.

2. Die Schweiz ist für Schokolade, Berge, Uhren usw. bekannt.

3. In ihrem Land spricht man vier Sprachen.

4. In der Schweiz gibt es keine Bundesländer, sondern Kantone.

1. Lara kommt aus Österreich.

2. Sie wohnt in Wien.

3. Wien ist für die Sachertorte bekannt.

4. In Österreich gibt es verschiedene Bundesländer.

5. In Österreich gibt es noch viele Berge.

6. Lara wohnt gerne in Österreich.

9.

07:45 - Viertel vor acht

08:30 - halb neun

45 - fünfundvierzig

13:05 - fünf nach eins

14:30 - halb drei

18:30 - halb sieben

22:30 - halb elf

12. b.

Adresse: Nuzubidse Str. 15, Tbilissi

Preis: 1 Unterrichtsstunde: 5 Lari

Dauer des Unterrichts: 2 Stunden

Name der Schule: Tanzkurse an der Tanzschule Kulturhaus Tbilissi

Kontaktperson: Manana Wekua Tel. 893 223547

Teilnehmerzahl: maximal 20 Schüler

Kurstermin: 10.10.06 - 10.01.07 zweimal wöchentlich

13. b.

ყოველი სამი კითხვიდან, მოსწავლეებმა უნდა აარჩიონ თითო სწორი პასუხი.

სწორი პასუხებია: b, b, b

14. შესაძლებელი ვარიანტი:

- Manana Wekua, guten Tag.
- Hallo, ich bin Tamuna Nikoladse. Ich möchte fragen: Kann ich bei Ihnen Tango lernen?
- Ja, Sie können bei uns Tango lernen.
- Danke, auf Wiederhören.
- Wiederhören.

მოცემულია ასოები და მათი შესაბამისი სახელები.

(ეს სავარჯიშო არ არის დანართში სხვა მოსასმენ ტექსტებთან ერთად). მოსწავლეები მოისმენენ სავარჯიშოს, შემდეგ კი თვითონ შეეცდებიან, მსგავსად, გამოთქმით, წარმოთქვან მოცემული ასოები და შესაბამისი სიტყვები.

მათ შეუძლიათ საკუთარი და ახლობლების სახელების წარმოთქმაზე ივარჯიშონ.

15.

პირველი გამონათქვამი - a) (ნიშნავს რაიმეს არადამაკმაყოფილებლად ცოდნას).

მეორე გამონათქვამი - a) (ნიშნავს წიგნის გადაშლას, მასში ჩახედვას, რაიმე კონკრეტული საკითხის გასაგებად).

მესამე გამონათქვამი - b) (რაიმეს არა ზუსტად ცოდნა, ეჭვის ქონა)

16.

a)

nein, ja, nein, ja, ja, ja, nein, ja

b)

1. Florian liest viel spannende Geschichten, Abenteuer, was eben Spaß macht.
2. Florian liest schnell.
3. Er konnte sich nicht so viel merken, weil er leise las.
4. Florian hat aus Spaß angefangen, laut zu lesen.
5. Als er laut zu lesen angefangen hat, hat Florian gemerkt, dass er sich einen Text viel besser merken kann.
6. Florian gibt den Tipp: - Nimm einen Text, dessen Inhalt du dir genau merken willst und lese laut.
7. Du sollst die Texte theatralisch mit vielen Bewegungen oder auch wütend, lustig, fröhlich und traurig lesen.
8. Jetzt hat Florian weniger Angst, vor der Klasse zu stehen.

17.

Einfache Nomen: *das Kino, die Uhr, das Land, der Montag, der Berg, die Zeit, die Welt, die Woche.*

Nomen mit der verbalen Herkunft: *das Tanzen, der Unterricht, das Lernen.*

Komposita: *das Bundesland, der Feiertag, die Deutschstunde, die Zeitschrift, der Stundenplan, die Sommerferien.*

I თავში მოსწავლეებმა უნდა იპოვონ რთული არსებითი სახელები.
მოცემულ რთულ სიტყვებს არტიკლები უნდა დაურთონ.

die Physiklehrerin
der Deutschunterricht
das Geschichtsbuch
die Chemiestunde

II თავი

Eltern und Kinder

1. 2. 3. 4. და 5. სავარჯიშოები განხილულია გაკვეთილის სცენარში.

6.

1.-e. 2.-st. 3.-t. 4.-en. 5.-t. 6.-t. 7.-en.

9.

a)

b-r, c-r, d-f, e-r, f-f

b)

die Mutter, die Mutter, die Tochter, die Mutter, die Tochter, die Mutter, die Tochter, die Tochter.

c)

a. Nino will heute um 19:30 ins Kino gehen.

b. Die Mutter sagt: Geh erst weg/du kannst gehen, wenn deine Hausaufgaben erledigt sind und dein Zimmer aufgeräumt ist.

c. Nino muss die Hausaufgaben erledigen und das Zimmer aufräumen, bevor sie ins Kino geht.

d. Ninos Zimmer sieht sehr unordentlich aus.

e. Nino muss beim nächsten Mal aufpassen, dass ihre Schulaufgaben fertig sind und ihr Zimmer immer aufgeräumt ist.

f. არის თუ არა სწორი, რომ ნინოს კინოში წასვლის უფლება მიეცა - ამ კითხვაზე პასუხის გაცემა თვით მოსწავლეებმა უნდა გადაწყვიტონ.

10.

hilf/helft/helfen Sie!

sage/sagt/sagen Sie!

sei/seid/seien Sie!

erledige/erledigt/erledigen Sie!

komm/kommt/kommen Sie!

fahre/fahrt/fahren Sie!

11.

a)

Hallo Natia,

ich gehe am Wochenende ins Kino. Es läuft ein sehr guter Film. Vielleicht gehen wir zusammen ins Kino? Hast du Zeit?

Tschüs, bis dann

Nino

b)

Hallo Nino,

ich habe am Wochenende Zeit, gehen wir zusammen ins Kino! Schreib mir bitte: Wie heißt der Film, wann fängt er an, wie lange dauert er und was kostet die Eintrittskarte?

Alles Liebe

Natia

12.

1-c, 2-d, 3-e, 4-a, 5-g, 6-b, 7-f

III თავი

Höflichkeit

1.

Gespräch mit einem Unbekannten

დიალოგი A) – I ნახატი; დიალოგი B) – II ნახატი (ქვემოთ მარცხნივ);

Im Kaufhaus, Gespräch mit der Verkäuferin

დიალოგი A) – II ნახატი (ქვემოთ მარჯვნივ); დიალოგი B) – I ნახატი (ზემოთ მარჯვნივ).

გრაფაში მოცემული არათავაზიანობის (Unhöflichkeit) ფრაზებია:

-Ich weiß es nicht, fragen Sie den Polizisten.

-Ich habe jetzt keine Zeit. Das steht am Schild!

დანარჩენი - შეესაბამება თავაზიანობას (Höflichkeit).

5.

a) Er ruft die Auskunft an.

b) a, a, a, b.

c) 1-h. 2-l. 3-a. 4-j. 5-k. 6-i. 7-c. 8-f. 9-g. 10-b. 11-d. 12-e.

7.

1-3, 2-1, 3-5, 4-2, 5-4

8.

1. Sie steigen in den Bus ein.

2. Sie steigen hier aus.

3. Ich höre der Lehrerin zu.

4. Ich drücke meine Freude aus.

5. Ich wähle die Wörter aus.

6. Meine Mutter ruft heute an.

7. Ich hole morgen meine Katze ab.

8. Er steht um 9.00 Uhr auf.

9.

Entschuldigung, sagen Sie bitte, bin ich hier richtig?

Danke!

Bitte!

Telefonauskunft. Mein Name ist Jan Weber. Was kann ich für Sie tun?

Können Sie mir bitte Adresse vom Café am Roten Rathaus in Berlin geben?

Ja, gern! Rathausstraße 17, 10178 Berlin

Vielen Dank!

Nichts zu danken! Wiederhören!

Wiederhören!

Das ist ja toll, ich habe mir immer so was gewünscht!

Ja, ein schönes Geschenk!

Danke sehr!

Bitte!

10.

danke, Geschenk, Geburtstag, Vielen Dank, Computer, Wunsch, froh, Internet, Webseiten, Informationen, E-Mails, schönen Dank, lieb

11.

